სსიპ ქალაქ თერჯოლის N2 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელ მზია მაკარიძის
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

თ ე მ ა

ჯგუფური მუშაობის ეფექტურობის

გაზრდა

მე- 9 კლასში

2018-2019 სასწავლო წელი.

სარჩევი

შესავალი ----------(2)

თავი I. საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა.

1.1 თემის/საკვლევი საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა. ----------(2-3)

1.2 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ ----------(3-4)

1.3 საკვლევი პრობლემა----------(4)

1.4 საკვლევი პრობლემის აღწერა----------(4-5)

1.5 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები----------(5-6)

1.6 კვლევის მიზანი----------(6)

1.7 კვლევის ამოცანები----------(6-7)

1.8 ძირითადი დასკვნები----------(7)

თავი II. ლიტერატურის მიმოხილვა.

2.1 ლიტერატურის დამუშავება.----------(8-9)

თავი III. კვლევის მეთოდოლოგია.

3.1 კვლევის მეთოდები----------(10)

3.2 კვლევის ინსტრუმენტები----------(11)

3.3 კვლევის ვადები----------(12-13)

3.4 პირველადი მონაცემების შეგროვება.ძირითადი დასკვნები----------(14-15)

თავი IV. მონაცემთა ანალიზი.

4.1 პირველადი მონაცემების შედეგების ანალიზი----------(16-17)

4.2 კვლევის შედეგების შეფასება----------(17)

4.3 ძირითადი დასკვნები----------(18-19)

თავი V. ინტერვენციები.

5.1 ინტერვენციების განხორციელების გზები----------(20-21)

5.2 ინტერვენციების განხორციელება----------(22-23)

5.3 ინტერვენციების შედეგები----------(23-24)

5.4 ინტერვენციების შედეგების ანალიზი----------(25-27)

5.5. ძირითადი დასკვნები----------(27)

თავი VI. პრაქტიკული კვლევის მიგნებები.

6.1 პრაქტიკული კვლევის დასკვნები----------(28-29)

6.2 კვლევის რეკომენდაციები----------(29-30)

6.3 პრაქტიკული კვლევის არსი----------(31)

6.4 კვლევის ნაკლოვანებები ძირითადი დასკვნები----------(32)

თავი VII. ბიბლიოგრაფია

7.1 გამოყენებული წყაროები----------(32-33)

7.2 დანართები----------(33-43)

7.3 კვლევის რეფლექსია----------(44)

შესავალი

კვლევითი ნაშრომი ,,ჯგუფური მუშაობის ეფექტურობის გაზრდა მე-9 კლასში წარმოადგენს სსიპ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს.კვლევა ჩატარდა მე-9 კლასში(საბაზო საფეხური), ნაშრომი შედგება 7 თავისაგან: პირველი თავში საუბარია საკვლევი თემის/საკითხის აქტუალობაზე, დასმულ პრობლემაზე, პრობლემოს გამომწვევ სავარაუდო მიზეზებზე, კვლევის მიზანსა და ამოცანებზე, მეორე თავი ეთმობა ლიტერატურის მიმოხილვას, მესამე თავში საუბარია კვლევის თვისობრივ და რაოდენობრივ მეთოდებზე, კვლევის ინსტრუმენტებზე, ეს თავი მოიცავს აგრეთვე კვლევის სავარაუდო გეგმას, კვლევის ვადებს, სადაც გაწერილია თვეების შესაბამისად განხორციელებული აქტივობები, აგრეთვე მოიცავს დიაგრამების ჩამონათვალს,რომელიც ასახავს პირველადი მონაცემების შედეგებს, მეხუთე თავში საუბარია ძირითად დასკვნებზე, რომელიც ჩამოყალიბებულია პირველად მონაცემებზე დაყრდნობით. მეექვსე თავში განხილულია ინტერვენციები, მისი გადაჭრის გზები, ინტერვენციების განხორციელება, შედეგები ანალიზი და ძირითადი დასკვნები, მეექვსე თავი მოიცავს პრაქტიკული კვლევის მიგნებებს, ძირითად დასკვნებს და რეკომენდაციებს, მეშვიდე თავი მოიცავს ბიბლიოგრაფიას დანართებს და კვლევის რეფლექსიას.

თავი I. საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა.

1.1 საკვლევი საკითხის/თემის აქტუალობა და მნიშვნელობა.

თანამედროვე წარმატებული გაკვეთილის ძირითადი პირობაა - მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში თუ გაკვეთილზე ყველა მოსწავლე დაკავებულია საქმით, თუ ყველა მოსწავლეს ეძლევა საშუალება საკუთარი შესაძლებლობები გამოავლინოს, საკუთარი მისია შეასრულოს გაკვეთილზე, აქტიურად ჩაერთოს გაკვეთილის მსვლელობის პროცესში, მაშინ გაკვეთილისათვის განკუთვნილი 45 წუთი მისთვის არ იქნება მტანჯველი წუთები, უფრო მეტიც ადვილად შესაძლებელია, მათივე სურვილით დროის დამატებაც კი თხოვონ მასწავლებელს სასურველი შედეგის მისაღწევად.

მე-9 კლასში საგაკვეთილო თემის უმრავლესობა სასწავლო საგნებში მოითხოვს მოსწავლეთა გუნდურობას. გუნდურობა იგივე ჯგუფური მუშაობა, მოსწავლეთა ორგანიზების მეტად გავრცელებული და საინტერესო ფორმაა, გუნდურობა მეხმარება კლასებში შედარებით რთული

სასწავლო მასალა მოსწავლეებმა აითვისონ მარტივად გასაგებად და იოლად, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ზოგჯერ ეს ფორმა მოსწავლეებთან ნაკლებეფექტური აღმოჩნდა ხოლმე, სხვადასხვა მიზეზების გამო ნაკლებეფექტურობის მიზეზების გამოსაკვლევად და დასაძლევად გადავწყვიტე განმეხორციელებია კვლევა. ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის მიზეზი სწორედ ჯგუფურ მუშაობაში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობა გახდა.

მოცემული კვლევა ეძღვნება მოზარდებში დემოკრატიული ცნობიერების შესწავლას. სკოლა მოვალეა აღზარდოს დემოკრატიული თაობა. ერთობლივ საქმიანობას, თანამშრომლობას, გუნდურობას მოსწავლეებს სწორედ გაკვეთილებზე ჯგუფებში განხორციელებული აქტივობები ასწავლის. კვლევა ემსახურება ინტერვეციების გზებისა და საშუალებების გამოძებნას, რომლებიც უფრო ეფექტურს გახდის სასწავლო პროცესს და აამაღლებს მოსწავლეებში დემოკრატიულ უნარ-ჩვევებს, რომელიც სარგებელს მოუტანს, როგორც მასწავლებელს და მოსწავლეებს ასევე სკოლას, რადგან „სკოლის არსებითი მიზანია მოსწავლეებისათვის არა მხოლოდ ცოდნის გადაცმა არამედ დემოკრატიული უნარების გამომუშავება, ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით.

2019 წლის სექტემბრიდან 2019 წლის მაისის ჩათვლით, თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის მე-9 კლასში (საბაზო საფეხური) განვახორციელე პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა. კვლევის მიზანია მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდა ჯგუფურ მუშაობაში და შესაბამისად ცოდნის დონის ამაღლება, მოსწავლეებში პასუხისმგებლობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობითი, შემოქმედებითი, არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარების ხელშეწყობა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო:

მე-9 კლასის 22 მოსწავლემ, მე-9 კლასში შემსვლელმა 12 პედაგოგმა, მე-9 კლასის დამრიგებელმა, სკოლის მოსწავლეთა აქტივმა და სხვა მოსწავლეებმა- ჯამში 35 მოსწავლე.

კვლევამ გაიარა დიაგნოსტირებისა და თერაპიის ყველა ეტაპი. საკითხის შესწავლის მიზნით გამოვიყენე, როგორც თვისობრივი ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ამ ტიპის მეთოდებით განხორციელებულმა კვლევამ შესაძლებლობა მომცა გამომეკვეთა ჩემთვის მნიშვნელოვანი ასპექტები და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში შემეტანა ცვლილებები კვლევის პროცესში.

თვისობრივი კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენე: ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, ფოკუსირებული და აღწერითი დაკვირვება. რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტიდან გამოვიყენე: ღია და დახურული კითხვები. კვლევის პროცესში საჭიროებიდან გამომდინარე დავგეგმე და განვახორციელე ინტერვენციები, მოვახდინე ინტერვენციების ანალიზი, შეფასება. მონაცემების შეგროვება, შედეგების ანალიზი, ჩამოვაყალიბე დასკვნები შევიმუშავე მიგნებები და რეკომენდაციები.

1.2 მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ.

თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორი: რუსუდან უსუფაშვილი. სკოლაში სწავლობს 291 მოსწავლე და მუშაობს 33 მასწავლებელი, აქედან 17-ს უფროსი მასწავლებლის სტატუსი აქვს. სკოლა წარმოადგენს წარმატებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. ახლახან სკოლაში დასრულდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ათასწლეულის გამოწვევის ფონდ-საქართველოს მიერ. სკოლა აღჭურვილია უახლესი და თანამედროვე საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიებით. აქ ყველა პირობაა შექმნილი, რაც საგაკვეთილო პროცესს საინტერესოს და ნაყოფიერს გახდის.

1.3 საკვლევი პრობლემა:

მე-9 კლასში ჯგუფური მუშაობის ნაკლებეფექტურობის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები.

1.4 პრობლემის აღწერა.

პრაქტიკული კვლევა ჩავატარე მე-9 კლასში, კლასში სწავლობს 22 მოსწავლე. კლასი არის საშუალოზე მაღალი მოსწრების. ბილოგიაში საშუალო ქულა არის 8. ეს საშუალებას მაძლევს კლასში ვიმუშაო მრავალფეროვანი და სახალისო აქტივობებით, გამოვიყენო მოსწავლეთა ორგანიზების ისეთი ფორმები, როგორიცაა ჯგუფებში /წყვილებში მუშაობა რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლობითი, კომუნიკაციის უნარების განვითარებას. ის მნიშვნელოვანი ფორმაა ნებისმიერი საგნის მასწავლებლისათვის რადგან, ხელს უწყობს სოციალური უნარების განვითარებასა და მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხის გაზრდას, რაც საგაკვეთილო პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

სკოლის მე-9 კლასი, როგორც ზემოთ აღვნიშნე არ არის დაბალი აკადემიური მოსწრების კლასი, თუმცა არ გამოირჩევა ეფექტური ჯგუფური მუშაობით, ჩემი დაკვირვებიდან გამომდინარე მე-9 კლასში მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჯგუფურ სამუშაოებში ნამდვილად დაბალია მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი. მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნია არც შინაგანი და არც გარეგანი მოტივაცია საამისოდ, არ აქვთ საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, მათი თვითშეფასება ძალიან დაბალია, არ არიან თავდაჯერებულნი, თავს იკავებენ საკუთარი აზრის დაფიქსირებისაგან, გაუბედავად არიან თითქოს ეშინიათ „ ვაი რომ მათი პასუხი არასწორი აღმოჩნდეს“, ნაკლებია მათი

კომუნიკაცია. ჯგუფური დავალების შესრულება, მხოლოდ ჯგუფის ერთ ან ორ მოსწავლეზე გადადის დანარჩენებს კი ჩამორჩენა გარანტირებული აქვთ, არც ერთმანეთის აზრის მიმართ ავლენენ პატივისცემას, ძლიერი მოსწავლეები პროტესტს აცხადებენ დავალების შესრულებაზე თუ კი ჯგუფში სუსტ მოსწავლეებთან მოხვდებიან. ასეთი საქციელი მოსწავლეთა მხრიდან იწვევს დაძაბულობას, ქაოსს და არამეგობრულ ურთიერთობას. ემოციური კონფლიქტები შევნიშნე სასწავლო გარემოს, რესურსების, ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი წესების და შეფასების მიმართ. აგრეთვე შევნიშნე ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი თემის ირგვლივ ცოდნის დაბალი დონე, ყველა ეს პირობა ხელს უშლის მოსწავლეთა ჯგუფებში მუშაობას და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. რაც გავლენას ახდენს მოსწავლეთა ქცევაზე, მათ შედეგებზე, მიზნის მიღწევაზე და საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხზე.

1.5 პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები:

მე-9 კლასში ჯგუფური მუშაობის ნაკლებეფექტურობის პრობლემის არა ერთი სავარაუდო მიზეზი გამოიკვეთა:

1. მოსწავლეთა დაბალი თვითშეფასება - მოსწავლეები თავიანთ შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ აფასებენ, ჰგონიათ, რომ არაფერი შეუძლიათ და არაფერი გამოუვათ.

2. მოსწავლეებს შორის არამეგობრული დამოკიდებულება (ბავშვის ფაქტორით გამოწვეული დაბალი მოტივაცია) კლასი დაყოფილია ჯგუფებად და სხვადასხვა მეგობრული ჯგუფის წევრებს უჭირთ ერთმანეთთან მეგობრული ურთერთობის დამყარება, მათი ერთ ჯგუფში ყოფნა შეუძლებელია.

3. მოსწაყენი ან არა შესაბამისი სასწავლო გარემო - სასწავლო გარემო ერთგვაროვანია, მოსწაყენი და უფრო მეტიც არ შეესაბამება ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი გარემოს.

4. სასწავლო რესურსების არასაკმარისი არსებობა ან არ არსებობა - არასაკმარისი სასწავლო რესურსები იწვევს დაძაბულობას ჯგუფებში, როცა ჯგუფებს არ ჰყოფნით სასწავლო რესურსები ჩნდება ქაოსი და ემოციური კონფლიქტები.

5. ჯგუფური მუშაობის წესების შემუშავება ხდება მასწავლებლის მიერ ინდივიდუალურად - მუშაობის წესებს ადგენს მასწავლებელი მოსწავლეთა ჩართულობის გარეშე, ჯგუფის ყველა წევრის გარეშე (ჯგუფის მუშაობის წესების შედგენაში მონაწილეობას ვერ იღებს ვერც ჯგუფის ლიდერები).

6. ჯგუფში სახვადსხვა შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების არსებობა - ჯგუფში ერთად სხდებიან ძლიერებიც და სუსტებიც, ანუ ძლიერი მოსწავლეების სუსტებთან ყოფნა ერთ ჯგუფში იწვევს ქაოსს და დაძაბულობას, იგრძნობა ჯგუფის გარკვეული წევრების დომინირება, დისკრიმინაცია, ჩნდება ლიდერი.

7. პედაგოგის ფაქტორით გამოწვეული დაბალი მოტივაცია მოსწავლეებში - თემები არ არის სიღრმისეულად დამუშავებული, გაურკვეველია ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი

დავალებები, არასაკმარისია დრო დავალების შესასრულებლად, დავალებებს ახასიათებს მნიშვნელოვანი სირთულე ჯგუფები არასაკმარისად არის მომზადებული ჯგუფური მუშაობისათვის.

8. არაჯანსაღი კომუნიკაცია (კომუნიკაციის ნაკლებობა) - ინფორმაციების გაზიარების უნარების დაბალი დონე, როცა ბავშვს უჭირს საკუთარი აზრის ჩამოყალიბება, ვერ ახერხებს ჯგუფში ინტეგრაციას, მორცხვია და გაუბედავია, ან შეინიშნება მოსმენის უნარის ნაკლებობა, როცა ბავშვი დაინტერესებულია მხოლოდ საკუთარი აზრის დაფიქსირებით, პატივს არ სცემს სხვის აზრს არ უსმენს პროცესის მიმდინარეობას.

9. ჯგუფში „ სოციალური ფენომენის „ ფაქტორის არსებობა - მოსწავლეების ნაწილი მუშაობს, ნაწილი კი ცდილობს „ სხვის ხარჯზე გაძრომას“.

10. შეფასების არ ქონა ან არასრულყოფილი ფორმით მიწოდება - როცა მასწავლებელი იყენებს მხოლოდ განმსაზღვრელ ან მხოლოდ განმავითარებელ შეფასებას ზოგადად, ზერელედ, როცა მასწავლებლის მიერ გაცემული შეფასება ემსახურება მხოლოდ ძლიერი და აქტიური ბავშვების შეფასებას შესაბამისად ჯგუფის სხვა წევრები რჩებიან უყურადღებოდ.

1.6 კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანია: დეტალურად შევისწავლო მე-9 კლასში გუნდურ მუშაობაში მოსწავლეთა დაბალი ჩართულობის გამომწვევი მიზეზები და გამოვნახო პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები: დავგეგმო შესაბამისი ინტერვენციები, მოვახდინო დაგეგმილი ინტერვენციების განხორცილება და მიღწეული შედეგების ანალიზი, შეფასება. შევიმუშაო დასკვნები მიგნებები და რეკომენდაციები აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

1.7 კვლევის ამოცანები

- დაკვირვება თითოეული მოსწავლის ჩართულობის ხარისხზე ჯგუფური მუშაობის დროს (ყურადღებაზე, პრეზენტაციის, კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარებზე).
- ფოკუს ჯგუფის შექმნა და დისკუსიის გზით პრობლემის გადაჭრის გზების ძიება.
- მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვა, ინრეტვიუები მოსწავლეებთან, მასწავლებელთან.
- მონაცემთა კოდირება და ანალიზი.
- განმეორებითი, კვლევა, კვლევების შედეგების შედარება, ანალიზი, შეფასება.
- დასკვნების და რეკომენდაციების ჩამოყალიბება, კვლევის პრეზენტაცია (გაზიარება)

საკვლევი კითხვა:

როგორ გავზარდოთ ჯგუფური მუშაობის ეფექტურობა მე-9 კლასში?

1.8 ძირითადი დასკვნები:

კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენაში დამეხმარა შემდეგ ქვეკითხვებზე პასუხის გაცემა:

- იყენებ თუ არა საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელი კლასის ორგანიზების ერთ-ერთ ფორმას ჯგუფურ მუშაობას?
- რა პრინციპით ანაწილებს მასწავლებელი მოსწავლეებს ჯგუფებში?
- წარმოადგენს თუ არა მასწავლებლისათვის სირთულეს ჯგუფური მუშაობის ორგანიზება?
- როგორია მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი ჯგუფურ მუშაობაში?
- დგებიან თუ არა რაიმე პრობლემის წინაშე პედაგოგები ჯგუფების დაკომპლექტების დროს? რაში გამოიხატება ეს პრობლემა?
- იცნობს თუ არა დამრიგებელი კლასის სოციალურ პირობებს?
- არის თუ არა კლასში მოსწავლეებს შორის მეგობრული დამოკიდებულება?
- როგორია მოსწავლეების ურთიერთობები საკლასო ოთახის გარეთ?
- არიან თუ არა ბავშვები პედაგოგის მიერ ინფორმირებული წინასწარ ჯგუფური მუშაობის შესახებ?
- იყენებს თუ არა პედაგოგი დიაგნოსტიკურ ტესტს ჯგუფური მუშაობის ბოლოს, ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი თემის ირგვლივ, ინდივიდუალურად დაგროვილი ცოდნის შესამოწმებლად?

- ეხმარება თუ არა პედაგოგი ბავშვებს ჯგუფური მუშაობის მოსამზადებელ ეტაპზე მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი თემის სიღრმისეულ დამუშავებაში?
- ეხმარება თუ არა მოსწავლეებს ჯგუფურ მუშაობა თემის უკეთ დასწავლაში.

აღმიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შევიმუშავე კვლევის გეგმა, გამოვიყენე კვლევის სანდოობის გზების მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდები:

- ინტერვიუ
- ფოკუს ჯგუფი
- დაკვირვების შედეგები.
- ფოკუსირებული დაკვირვება.
- კითხვარები (მოსწავლის, პედაგოგის)

თავი II.

2.1 ლიტერატურის მიმოხილვა.

მოსწავლეებზე ორიენტირებულმა განათლებმა ძლიერი ბიძგი მისცა თანამშრომლობითი პედაგოგიკის განვითარებასა და დღეს ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში. თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოსწავლეთა განსაკუთრებულ აქტივობას მოითხოვს, რაც გულისხმობს მათ აქტიურ მონაწილეობას არა მხოლოდ ცოდნის მიღების, არამედ თანატოლთა სწავლების პროცესში. როგორც ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებშია განსაზღვრული „ სასკოლო განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების მომავალ წევრებს განუვითაროს ზოგადი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები (მეტყველება, მოსმენა ....) და ამ გზით მოხდეს მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია. სასწავლო პროცესის ორგანიზაციის ფორმებს შორის მნიშვნელოვანია წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა სწავლების თეორიების თანახმად მოსწავლეებმა თვითონ უნდა ააგონ ცოდნა სამყაროს შესახებ, მათ თვითონ უნდა აღმოაჩინონ და გარდაქმნან რთული ინფორმაცია იმისათვის, რომ ახალი ცოდნა გაითავისონ, მოსწავლეები აქტიურ როლს თამაშობენ თავიანთი სწავლის პროცესში, სადაც მასწავლებლის როლი მხოლოდ მოსწავლის მეგზურობთ და მრჩევლობით შემოიფარგლება. „ დასწავლის პროცესში მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია სწავლის პროცესის სოციალური ბუნება“ (ჟ. პიაჟე, ლ. ვიგოტსკი“ სწავლების თეორიები“) პრაქტიკამ აჩვენა, რომ ჯგუფებში ერთობლივად სწავლა არა მარტო იოლი და საინტერესოა, მნიშვნელოვნად ეფექტურიცაა. ეს ეფექტურობა ეხება, როგორც აკადემიურ წარმატებებს და ინტელექტუალურ განვითარებას, ისე ზნეობრივ ზრდას. „ სკოლის ზოგად დანიშნულებას არ წარმოადგენს მხოლოდ ცოდნის გაცემა ერთი თაობიდან მეორეზე. თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ჩართულობა ესაა უმნიშვნელოვანესი ფასეულობები (,,ევროპული საბჭოს ქარტია“ დემოკრატიული მოქალაქეებისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, 2010 წელი). ჯგუფური მუშაობის მეთოდთან არის დაკავშირებული ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების განხორციელებაც. ჯგუფური მუშაობის დანიშნულება არის ის, რომ ჯგუფის თითოეული მოსწავლე თავს კომფორტულად გრძნობდეს, მაქსიმალურ შედეგს აღწევდეს და ამხანაგებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობდეს. ასეთ პორობებში ჯგუფური მუშაობა დადებითად მოქმედებს პიროვნების განვითარებაზე.

„1990-იან წლებში ორგანიზაციების შესწავლისას გუნდური მუშაობა აღმოჩნდა ყვეალზე მეტად დაფასებული მენეჯერული კომპეტენცია მსოფლიოში“ (გოლემანო 1998წ.) „ სოციუმი (გუნდი) , წარმოადგენს ინდივიდების ერთობას, რომლებიც ერთიანდებიან იმიტომ, რომ აქვთ საერთო პასუხისმგებლობა (2012 წელი, ოუენსი, ვალენსკი) ჯგუფური მუშაობისკენ, როგორც საქმიანობის კოლექტიური ფორმისკენ მობრუნების იდეა განპირობებულია პედაგოგების და ფსიქოლოგების მისწარაფებით დაძლიონ „ პედაგოგიკის ზემოქმედების“ ნაკლოვანებები და ისე წარმართონ სასწავლო პროცესი, რომ მის ზოგიერთ ეტაპზე ბავშვებს კონტაქტი ჰქონდეთ, არა მხოლოდ უშუალოდ მასწავლებლებთან, არამედ ერთმანეთთანაც: „ რათა პედაგოგიური ზემოქმედება იყოს ირიბი და არა პირდაპირი“ (ლეონიდ ვიგოტსკი „ სწავლების თეორიები“) თანამშრომლობითი პედაგოგიკა გვთავაზობს სხვანაირად სწავლებას, როცა მოსწავლის გვერდით ამხანაგებია,

რომელთაც უნდა დაეკითხოს ან უნდა დაეხმაროს თავად, გაარკვიოს ის, რაც გაუგებარია მისთვის, შეუძლიათ ერთობლივად იმსჯელონ და დასკვნები გამოიტანონ, თანაბრად გააცნობიერონ პასუხისმგებლობა ჯგუფის წინაშე, „ თანამშრომლობა, მოვალეობების განაწილება, ურთიერთკონტროლი, პასუხისმგებლობა, მუშაობის ორგანიზება, სასწავლო მასალის ჯგუფური აღქმა აძლიერებს სწავლის ხარისხს და დაინტერესებას (ხ. ლიმესტი, ვ. ტარანტეი, თ. პერკინი ,, სწავლების თეორიები).

მინესოტის უნივერსიტეტის პროფესორების დევიდ და როჯერ ჯონსონების (2002წ.) შეხედულებით თანამშრომლობით სწავლებაში წარმატების მისაღწევად, ჯგუფის პოტენციალის სრული წარმოჩენა მნიშვნელოვანია, მოზარდს უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული ინდივიდუალური როლი ჯგუფში, : უფრო მცოდნე და ძლიერ ბავშვებთან კომუნიკაციის დროს შედარებით სუსტი ბავშვები იძენენ იმ ცოდნას, რომლის შეძენას ისინი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდნენ. (ლ. უმენსკი, 1980წ.)

თანამშროლობითი სწავლების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ელიზაბეტ კოჰენმა (1994წ). მისი შეხედულებებით, თუ სასწავლო ჯგუფებში არაა დაცული სტრუქტურა და წესები, მაშინ უმჯობესია მოსწავლეებმა ინდივიდუალურად იმუშაონ. მას მიაჩნდა, რომ ჯგუფის თითოეული წევრი თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდეს და დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები არ უნდა იყვნენ იგნორირებულნი. კოჰენმა (1994წ). ჯგუფში ინტეგრირებისათვის შეიმუშავა მოსწავლეთა განსხვავებული ქცევის სტრატეგიები: ინტეგრირების წარმატება განპირობებულია სიფრთხილით შერჩეული სტრატეგიებისა და შემუშავებული ნორმების სრული დაცვით. ეს იძულებულს ხდის ყველა მოსწავლეს, იმუშაონ და ისწავლონ ერთად. ძიების გზებში დასაშვებია პრობლემების წარმოშობა, როგორიცაა: კონფლიქტები და ემოციები, მაგრამ აქვე უნდა მოხდეს დაძლევა, მასწავლებელმა, რომელიც იმყოფება ფასილიტატორის როლში , ყოველმხრივ უნდა გაუკეთოს მოდიფიცირება მისაღებ მოდელს, რათა არ იქნეს შელახული, რომელიმე მოსწავლის გრძნობები და იდეები.

დასკვნით ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება მნიშვნელოვანია: მოსწავლეთა აკადემიური შედეგების, აზეოვნების ელემენტების, პრობლემის გადაჭრის გზების ძიების, დემოკრატიული ცნობიერების ამაღლებისათვის. მოსწავლეები ერთმანეთის მიმართ დადებითად განეწყობიან და იზრდება მათი სოციალური განვითარების დონე.

თავი III.

3.1 კვლევის მეთოდოლოგია.

1. მოსწავლეთა გამოკითხვა - გამოიკითხა მე-9 კლასის 22 მოსწავლე . კითხვები იყო ღია და დახურული ანონიმურობის სრული დაცვით. მოსწავლეები თავისუფალ რეჟიმში, შეუზღუდავად მოახდენენ კითხვარების შევსებას. მათ მხოლოდ ავუხსენი, თუ როგორ უნდა შეევსოთ კითხვარები.

აღნიშნულ მეთოდს მივმართე, რათა მიმეღო პასუხი კითხვებზე: რა ღირებულება აქვს ჯგუფურ მუშაობას მოსწავლეებისათვის? როგორ ერთვებიან ისინი ჯგუფურ მუშაობაში? და რა სურთულეებთანაა დაკავშირებული ჯგუფური მუშაობა მათთვის? გამოკითხვა ვაწარმოე ნოემბრის თვეში.(იხ. დანართი 8)

2. მასწავლებელთა გამოკითხვა - კვლევის პირველ ეტაპზე წინასწარ შემუშავებული კითხვარებით ჩავატარე კვლევა ამავე კლასის სხვა საგნის მასწავლებლებთან. კვლევის ეს ეტაპი ჩავატარე 2018 წლის ნოემბრის თვეში (იხ. დანართი 9) გამოკითხვის მიზანი იყო გამეგო ჰქონდა თუ არა სხვა საგნების მასწავლებლებს პრობლემები ჯგუფური სამუშაოების განხორციელების დროს, რა იყო ეს პრობლემები, რაც საშუალებას მომცემდა გავცნობოდი მათ პირად გამოცდილებებს, რომელიც დამეხმარებოდა ზოგადი სურათის შექმნაში და სავარაუდო მიზეზების დადგენაში. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 12 მასწავლებელმა. ანონიმურობის სრული დაცვით მოხდა პედაგოგთა გამოკითხვა რათა რესპოდენტი პასუხის გაცემის დროს არ შეიზღუდოს, იყოს გულწრფელი და შესაბამისად მის მიერ გაცემული პასუხები იქნება ზუსტი, სანდო წყარო და საუკეთესო დასაყრდენი კვლევის წარმოების საქმეში.

3. ინტერვიუ - ჩავწერე ფოკუს ჯგუფთან სკოლის მოსწავლეთა აქტივთან და იმ მოსწავლეებთან, რომელთაც გარკვეული ურთიერთობები ჰქონდათ და აქვთ მე-9 კლასის მოსწავლეებთან(იხ. დანართი 11) იმ მიზნით, რომ დამენახა როგორი ურთიერთობები აქვს მე-9 კლასის მოსწავლეებს კლასის გარეთ ((სოციალური უნარების დასადგენად). ინტერვიუ აგრეთვე ვაწარმოე კლასის დამრიგებელთან, რათა გამეგო მისი პირადი მოსაზრებები მოცემულ საკითხზე, სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა ურთიერთობებზე, მათ ჩართულობაზე სასკოლო და საკლასო ღონისძიებებში, გამეგო მათი სურვილები, ინტერესები, დამენახა კლასის საერთო სოციალური ფონი. კლასის დამრიგებელთან ინტერვიუს შედეგად მოხდა ბავშვების შერჩევა ფოკუსირებული დაკვირვებისათვის. ინტერვიუ ვაწარმოე ნოემბრის თვეში.(იხ. დანართი 10)

4 ფოკუსირებული დაკვირვება - ეს მეთოდი გამოვიყენე ეფექტური უკუკავშირის კრიტერიუმებზე დაყრდნობით საგაკვეთილო პროცესის დასაკვირვებლად. დავაკვირდი მოსწავლეთა ერთობლივი მუშაობის უნარებს მოსწავლეთა ორგანიზების სხვადასხვა ფორმის გამოყენების დროს საგაკვეთილო პროცესში, იმისათვის, რომ დამედგინა, რა მიმანიშნებდა მათ კარგ/ცუდ თანამშრომლობაზე, მათ დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებაზე თანაგუნდელების მიმართ, მათი ჩართულობის ხარისხზე. მათ მიერ „ მეგობრული სისტემის“ გამოყენების ეფექტურობაზე. მონაცემები ჩავიწერე დაკვირვების დღიურში რათა შემდეგ გამეანალიზებინა მიღებული შდეგები. ფოკუსირებული დაკვირვება ვაწარმოე ოთხი თვის განმავლობაში (დეკემბრიდან მარტის ჩათვლით).

3.2 კვლევის ინსტრუმენტები:

სამიზნე ჯგუფები, რესურსები, განმხორციელებელი პირი.

1. **სამიზნე ჯგუფები:**

1. **თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის მე-9 (საბაზო საფეხური) კლასის მოსწავლეები. ჯამში სულ 22 მოსწავლე**

   აქედან გოგონა ---- 12

   ვაჟი ------- 10

2. **თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებთან ურთიერთობაში მყოფი მოსწავლეები და სკოლის მოსწავლეთა აქტივი.**

ჯამში სულ 35 მოსწავლე

   აქედან გოგონა ---- 17

   ვაჟი ------- 18

3. **თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის მე-9 კლასის პედაგოგები.**
   ჯამში, სულ 12 მასწავლებელი და კლასის დამრიგებელი.

სამიზნე ჯგუფებთან მუშაობის დროს გამოვიყენე რესურსები: კითხვარები, დაკვირვების დღიური, შეფასების რუბრიკები. ჩავწერე ინტერვიუ ყველა აქტივობაზე, განხორციელებული პირი ვიყავი პირადად მე კვლევის ავტორი (თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი - მზია მაკარიძე)

3.3 კვლევის ვადები :

N	აქტივობები	სექტ.	ოქტ.	ნოემ.	დეკემბ.	იანვარ.	თებერვ.	მარტი	აპრილი	მაისი	
1	საკვლევი თემის / პრობლემის შერჩევა	x									
2	კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება.	x									
3	ლიტერატურის მიმოხილვა (გაცნობა)	x	x	x							
4	პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება.		x	x							
5	კითხვარების შედგენა / დამუშავება		x	x							
6	კითხვარების შევსება პედაგოგების მიერ.			x							
7	ინტერვიუ პედაგოგებთან.		x	x							
8	მოსწავლეთა გამოკითხვა.			x							
9	ინტერვიუ ფოკუსჯგუფთან.		x	x							

10	პირველადი მონაცემების შედეგები, ანალიზი, შეფასება.				x						
11	ინტერვენციების დაგეგმვა.				x						
12	ინტერვენციების განხორციელება.				x	x	x	x	x		
13	სამოტივაციო ვიდეოს ნახვა.				x	x					
14	გაკვეთილებზე დასწრება, ფოკუსირებული დაკვირვება.				x	x	x	x			
15	ინტერვენციების შედეგების ანალიზი-შეფასება.								x		
16	განმეორებითი კვლევის ანალიზი								x		
17	კვლევების (I - II) შედეგების შედარება შეფასება.								x		
18	კვლევის დასკვნები, მიგნებები, რეკომენდაციები.								x		
19	კვლევის გაცნობა (გაკვეთილზე,კათედრაზე პრეზენტაცია,გაზიარება თანამშრომლებთან)								x		
20	კვლევის რეფლექსია.									x	

3.4 პირველადი მონაცემების შედეგები. ძირითადი დასკვნები.



2) კითხვა:
მოგწონთ თუ არა ჯგუფური მუშაობა?




3) კითხვა: ჯგუფური მუშაობის დროს ვისთან ისურვებდით მუშაობას?
ვინც უფრო ძლიერია
ვისაც დახმარება სჭირდება
მეგობრებთან ერთად
15%
25%
60%


4) კითხვა: რომელია თქვენთვის უფრო მისაღები, როცა ჯგუფი იქმნება თქვენი/მასწავლებლის სურვილით?
25
20
15
10
5
0
სულ
საკუთარი სურვილით
მასწავლებლის სურვილით

5) კითხვა:
მოგწონთ თუ არა „მეგობრული სისტემით“ გაკვეთილების/
დავალებების მომზადება?



6) მოგწონთ თუ არა დავალებები,რომლებიც ჯგუფური მუშაობის დროს გამოიყენება?



თავი IV.

4.1 პირველადი მონაცემების შედეგების ანალიზი.

პედაგოგების გამოკითხვის მიზანი იყო დამედგინა მასწავლებებისათვის რა ღირებულება აქვს გაკვეთილებზე მოსწავლეთა ორგანიზების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას - ჯგუფურ მუშაობას, რომელიც მოსწავლეთა გააქტიურებისათვის არის განკუთვნილი, რა პრობლემებს აწყდება ამ კუთხით პედაგოგი და როგორ წარმოუდგენია აღნიშნული პრობლემის მოგვარების გზები, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 12 პედაგოგმა. კვლევის შედეგებმა აჩვენა მასწავლებლების მიერ ჯგუფრი მუშაობისათვის განკუთვნილი თემების/დავალებების დამუშავება ხდება ზერელედ ანუ ნაკლებად ექცევა ყურადღება ჯგუფური მუშაობის მოსამზადებელ ეტაპს, მოკლედ მასწავლებელთა 64% არ ამახვილებს ყურადღებას ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი მასალის სიღრმისეულად დამუშავებაზე, 18% - იშვიათად ამახვილებს ყურადღბას, ხოლო 18% ყოველთვის ამახვილებს ყურადღბას ამ საკითხის მოგვარებაზე. მასწავლებელთა 48% მიიჩნევს, რომ ჯგუფურ მუშაობაზე მოსწავლეებისათვის მიცემული დავალებები ზომიერია, 22%- ის აზრით მცირეა, ხოლო 30%-ს მიაჩნია რომ ზომაზე მეტია. საჭიროების შემთხვევაში ჯგუფურ მუშაობას ყოველთვის იყენებს მასწავლებელთა 27 %, იშვიათად იყენებს 60%, ხოლო არასოდეს იყენებს 13%. ჯგუფური მუშაობის სწორად ორგანიზება უჭირს მასწავლებელთა 60%, ხოლო დანარჩენ 40 % ამ საქმეს თავს ართმევს შეძლებისდაგვარად. პედაგოგთა აზრით ჯგუფურ მუშაობაში ყოველთვის ხალისით ერთვება მოსწავლეთა 18%, უხალისოდ ერტება 40% საერთოდ არ ერთვება 42%, ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლის მიერ ინდივიდუალურად მიღებული ცონის შესამოწმებლად დიაგნოსტიკური ტესტით სარგებლობს პედაგოგთა 21%, იშვიათად სარგებლობს 13%, საერთოდ არასოდეს სარგებლობს 66%. ჯგუფური მუშაობის შედეგებით კმაყოფილია მასწავლებელთა 33%, დანარჩენი 67% უკმაყოფილოა, ჯგუფური მუშაობის შეფასებას ყოველთვის აკეთებს მასწავლებლების 34%, ზოგჯერ 42% არასოდეს 24% ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ უკუკავშირს ახდენს მასწ 35%, იშვიათად 22% არასოდეს ახდენს 43%.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ ჯგუფური მუშაობა მოსწონს 20%, არ მოსწონს 80%, კითხვაზე, როგორ ერთებიან ჯგუფურ მუშაობაში მოსწავლეთა 34% მიიჩნევს, რომ ერთვება ხალისით, 26% - ერთება უხალისოდ ხოლო რეაქცია არ აქვს 40%, მოსწავლეთა 27% თვლის, რომ ჯგუფური მუშაობის მოსამზადებელ ეტაპზე მათ ყოველთვის ეხმარებათ პედაგოგი თემის სიღღმისეულად დამუშავებაში იშვიათად ეხმარება 13% არასოდეს ეხმარება 60% მოსწავლეთა 13% თვლის, რომ ჯგუფურ მუშაობაში ეხმარება სხვას, 47% თვლის, რომ სხვა ეხმარება, ხოლო 40% თვლის, რომ არც თვითონ შეუძლია სხვისი დახმარება და არც მას არ ეხმარებიან. მოსწავლეთა 22% თვლის, რომ მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს ზრდის: პედაგოგის მიერ ერთი და იგივე მასალის რამოდენიმეჯერ ახსნა, 42% თვლის, რომ ჩართულობის ხარისხს ზრდის ინტერნეტ დავალებები, ხოლო მოსწავლეთა 36% დისკუსიები. მოსწავლეთა დაბალი აქტივობის მიზეზად ცოდნის ნაკლებობას ასახელებს მოსწავლეთა 54% ხოლო უნარების ნაკლებობას ასახელებს მოსწავლეთა - 46%. კითხვაზე ხელს უწყობს თუ არა ჯგუფური მუშაობა თემების უკეთ ათვისებაში, მოსწავლეთა

32% უპასუხა, რომ ასე უფრო ადვილად სწავლობს, ხოლო მოსწავლეთა 68% თვლის, რომ დამოუკიდებლად სწავლა ურჩევნია. მოსწავლეთა 34% მიაჩნია, რომ პედაგოგი ჯგუფური მუშაობის შეფასებას ობიექტურად ახდენს, იშვიათად ახდენს 18%, არსოდეს ახდენს 48%. მოსწავლეთა 21% თვლის, რომ ჯგუფური მუშაობით მოსწავლის მიერ მიღებული ინდივიდუალური ცოდნის შემოწმებას დიაგნოსტიკური ტესტით ახდენს პედაგოგი ყოველთვის , 14%- იშვიათად, არსოდეს 65%. მასწავლებლებთან განახორციელებული პირისპირ ინტერვიუსათვის წინასწარ მოვამზადე კითხვები. ჩემს მიერ წარმოებულ დაკვირვების დღიურში ჩავინიშნე ჩემთვის მნიშვნელოვანი წინადადებები, ამით შევძელი შემეგროებინა შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. მასწავლებლები რა სიხშირით იყენებენ ჯგუფურ მუშაობას.

2. რა სახის პრობლემებს აწყდებიან ჯგუფური მუშაობის ორგანიზებაში და როგორ ესახებათ პრობლემის გადაჭრის გზები.

3. რა კრიტერიუმებით ადგენენ მოსწავლის მიერ შეძენილი ინდივდუალური ცოდნის დონის შემოწმებას თემის ირგვლივ ჯგუფური მუშაობის შემდეგ.

4.2 კვლევის შედეგების შეფასება ძირითადი დასკვნები:

ინტერვიუს საერთო ანალიზის ფონზე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები უხალისოდ ერთვებიან ჯგუფურ მუშაობაში, რომ პედაგოგები და მოსწავლეები თითქმის არ ხარჯავენ დროს ჯგუფური მუშაობის მომზადებაზე, პედაგოგები ყოველთვის არ ახდენენ მოსწავლეებში ჯგუფური მუშაობის შემდეგ მიღებული ინდივიდუალური ცოდნის დონის შემოწმებას, აგრეთვე პედაგოგების დიდი ნაწილი არ აფასებს ჯგუფურ მუშაობას ან თუ ახდენს შეფასებას ამას აკეთებს არასისტემატურად, არასრულყოფილად ასეთი ფორმით შემოწმებული სამუშაოს შემდეგ მოსწავლეს საბოლოოდ უქრება მოტივაცია, სწორედ ამ ფაქტორის გამო ვღებულობთ უხალისოდ და უხარისხოდ შესრულებულ ჯგუფურ მუშაობას და ჩართულობის დაბალ ხარისხს საგაკვეთილო პროცესში.

მონაცემთა ანალიზისას გამოიკვეთა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი.

1. მოსწავლეებს შორის თანამშრომლობა ნაკლებეფექტურია.

2. მასწავლებელი არ იყენებს ჯგუფურ მუშაობას ინტენსიურად.

3. მოსწავლეებს აქვთ დაბალი თვითშეფასება.

4. მოსწავლეებში ნაკლებადაა განვითარებული თანამშრომლობითი უნარები.

5. პედაგოგის მიერ, არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ინტერესებისა და მათი შესაძლებლობების სფერო.

6. დაბალია მათი სოციალური უნარები კლასის გარეთ.

7. მასწავლებლებს არ აქვთ ერთნაირი მიდგომები.

8. მასწავლებელი არ ადგენს ჯგუფური მუშაობის კრიტერიუმებს წინასწარ, (არ ხელმძღვანელობს მოსწავლეებთან ერთად წინასწარ შექმნილი შფასების კრიტერიუმებით, ჯგუფური მუშაობის წესებით, არ აწარმოებს კრიტერიუმების შესრულების მონიტორინგს, არ ახდენს, ან ზერელედ ახდენს შეფასებას).

9. მასწავლებელი ნაკლებად იყენებს ჯგუფური მუშაობის მოსამზადებელ ეტაპს (კლასის მომზადება ჯგუფური მუშაობისათვის, თემის სიღრმისეული დამუშავება, შესაბამისი დავალებების მიწოდება ბავშვებისათვის დავალებების სირთულის თავიდან ასაცილებლად.), აგრეთვე ნაკლებად ამოწმებს, თითოეული მოსწავლის მიერ მიღებული კონკრეტული ცოდნის შემოწმებას დიაგნოსტიკური ტესტით ან ზეპირი შემაჯამებლით.

10. პედაგოგები ნაკლებად იყენებენ თანამედროვე თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებსა და სტრატეგიებს სასწავლო პროცესში, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ისტ-ით გამდიდრებული გაკვეთილების ჩატარებას.

11. მასწავლებლები ნაკლებად მუშაობენ, თითქმის არ მუშაობენ მოსწავლეებთან ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო უნარების გამომუშავების კუთხით (არ იყენებდნენ ეფექტურ აქტივობებს). აგრეთვე, მასწავლებლები ნაკლებად მუშაობენ, იმ მიმართულებით, რომ ასწავლონ მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობის , რეფლექსიის წერა და ჯანსაღი უკუკავშირის გაცემა

თავი V.

5.1 ინტერვენციები.

ინტერვენციების განხორციელების გზები:

1. **კონსულტაციები პედაგოგებთან**

მიზანი: პედაგოგთა შორის თანამშრომლობის გაღრმავება, მათი ცოდნის დონის გაზრდა ჯგუფური მუშაობის წარმართვასთან დაკავშირებით.

ნაბიჯი 1 პედაგოგებთან შეხვედრა, გულახდილი საუბარი, მათთვის ჯგუფური მუშაობის ეფექტურად მართვის ირგვლივ ლიტერატურის გაცნობა. ლექცია - პრეზენტაციები. **ნაბიჯი 2**

ინტერვიუები პედაგოგებთან (ინდივიდუალურად) **ნაბიჯი 3.**დისკუსია პედაგოგებთან - აზრთა გაზიარება. **ნაბიჯი 4.** უკუკავშირის გაცემა.

2. **კლასის ჯგუფებად დაყოფა და ჯგუფური მუშაობის წესების შემუშავება.**

მიზანი: მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა.

ნაბიჯი 1. ჯგუფური მუშაობის წესების ერთობლივად (მოსწავლეთა ჩართულობა) შემუშავება. **ნაბიჯი 2.** კლასის ჯგუფებად დაყოფა (მოსწავლეთა სურვილისამებრ, მასწავლებლის სურვილით,

შემთხვევითობის პრინციპით) და ჯგუფური მუშაობების ჩატარება. **ნაბიჯი 3** მიღებული შედეგების შედარება, ანალიზი და შეფასება. **ნაბიჯი 4** უკუკავშირის გაცემა.

3. **ჯგუფური მუშაობისათვის საჭირო რესურსების მოძიება და შესაბამისი გარემოს შექმნა.**

მიზანი: მოსწავლეებში ინფორმირებისა და ჩართულობის ხარისხის გაზრდა, კეთებით სწავლების უნარების განმტკიცება.

ნაბიჯი 1. მოსწავლეების ინფორმირება: როგორ შევქმნათ სასწავლო რესურსი და როგორ გავხადოთ სასწავლო გარემო მრავალფეროვანი. მინი-ლექცია პრეზენტაციები **ნაბიჯი 2.** პრაქტიკული სამუშაო მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობით შეგროვილი სასწავლო რესურსები(თვალსაჩინოებები) და ჯგუფური მუშაობისათვის მოწყობილი სასწავლო გარემო. **ნაბიჯი 3** უკუკავშირის გაცემა.

4. **დროის მართვის მენეჯმენტი.**

მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი თემის ირგვლივ ცოდნის გაღრმავება.

ნაბიჯი 1. შევამოწმებ მოსწავლეთა თეორიული ცოდნის დონეს ზეპირი შემაჯამებლებით ან ელექტრონული ტესტით (ქვიზით) **ნაბიჯი 2.** შევამოწმებ მოსწავლის პრაქტიკულ ცოდნის დონეს თემის ირგვლივ: მოსწავლეები იმუშავებენ ცხრილებზე, დიაგრამებზე, სქემებზე, მარტივი მოდელების შექმნაზე, იმუშავებენ ჯგუფებში. **ნაბიჯი 3** უკუკავშირის გაცემა.

5. **თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების დანერგვა სასწავლო პროცესში.**

მიზანი: მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განმტკიცება, გუნდურობის გააზრება.

ნაბიჯი 1 პედაგოგები სხვადსხვა საგანში ჩაატარებენ გაკვეთილებს ახალი მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით. **ნაბიჯი 2.** ამ ტიპის გაკვეთილებზე განვახორციელებ ფოკუსირებულ დაკვირვებას. **ნაბიჯი 3.** უკუკავშირის გაცემა.

6) მოსწავლეების თვითშეფასების ამაღლება.

მიზანი: მოსწავლეებში მოტივაციისა და ჩართულობის ხარისხის გაზრდა.

ნაბიჯი 1. სამოტივაციო ვიდეოს „ ჩვენ ყველაფრის სწავლა შეგვიძლია“ ნახვა. მინილექცია - პრეზენტაცია **ნაბიჯი 2.** ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკების ერთობლივად შემუშავება. **ნაბიჯი 3.** მოსწავლეებისათვის ჯგუფური მუშაობის რეფლექსიის წერის სწავლება (მინი ლექცია, პრეზენტაცია, პრაქტიკული დავალებები), იმუშავებენ ჯგუფებში. **ნაბიჯი 4.** მასწავლებლის მიერ გაცემული შეფასება (როგორ გავცეთ განმავითარებელი შეფასება, სიტყვიერი კომენტარები) **ნაბიჯი 5.** მოსწავლეების მიერ ჯგუფური მუშაობის ბოლოს თვითშეფასების კითხვარის შევსება. **ნაბიჯი 6.** უკუკავშირის გაცემა.

7) ჯგუფური მუშაობის უნარების განვითარება მოსწავლეებში.

მიზანი: მოსწავლეებში მოსმენის, კომუნიკაციის, კრიტიკული აზროვნების, პრეზენტაციების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარება.

ნაბიჯი 1. მოსწავლეებში მოსმენა - კომუნიკაციის უნარების დასახვეწად გაკვეთილზე გამოვიყენებ თამაშს „ მეტაფორები“ (სადაც მოსწავლე მესამე პირში მოგვითხრობს თავის თავზე და თავის ჯგუფზე, შემდეგ თვითონაც უსმენს სხვა მოსწავლის მონათხრობს, აგრეთე გამოვიყენებ მიუსი და რეინოლდსის სავარჯიშოს (სადაც მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, სანამ თვითონ დაიწყებს პასუხის გაცემას დასმულ შეკითხვაზე, გაიმეოროს წინა მოსწავლის პასუხი. **ნაბიჯი 2.** მოსწავლეებში კრიტიკული აზროვენბის დასახვეწად გამოვიყენებ სავარჯიშოს „ წრიული სისტემა „ (როცა მასწავლებელი სვამს რამოდენიმე პასუხიან კითხვას, მოსწავლეები პასუხობენ რიგ- რიგობით, პროცესი სრულდება, მაშინ როცა ყველა მოსწავლე უპასუხებს სავარჯიშოს, აგრეთვე ამ მხრივ ეფექტური აღმოჩნდა გავრცელებული სავარჯოშოები. „ სივრცეში ორიენტირება“ და „ მუდმივ ხმაურში მუშაობა“ **ნაბიჯი 3.** მოსწავლებში პრეზენტაციის უნარების დასახვეწად გაკვეთილზე გამოვიყენებ უფროსკლასელთა და უმცროსკლასელთა წარმატებულ პრეზენტაციებს, ი. ს. ტ. -ის გაკვეთილებზე ისტ-ის მასწავლებელთან ერთად მოსწავლეები ინტენსიურად იმუშავებენ ჯგუფებში პრეზენტაციების აწყობა - წარდგენაზე. აგრეთვე გამოვიყენებ გაკვეთილზე სავარჯიშოს : „ საჭირო ინფორმაციის მოძიება“, იმუშავებენ ჯგუფებში. **ნაბიჯი 4.** არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განსამტკიცებლად გაკვეთილზე გამოვიყენებ საკლასო დისკუსიებს მოსწავლეებისათვის სასურველ საგაკვეთილო თემებზე. **ნაბიჯი 5.** მოსწავლეები იმუშავებენ ჰომოგენურ (ერთნაირი შესაძლებლობების მქონე ბავშვები) და ჰეტეროგენურ (სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ბავშვები). ჯგუფებში. პედაგოგი მოახდენს მიღებული შედეგის შედარებას, ანალიზს - შეფასებას და გასცემს შესაბამის უკუკავშირს.

8. ეტაპობრივი შეხვედრები მოზარდებთან (ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში, მთელ კლასთან) და დისკუსიები.

მიზანი: მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის ხარისხის გაზრდა.

ნაბიჯი 1. პედაგოგის მიერ მოსწავლეების ინფორმირება ეფექტურად განხორციელებული ჯგუფური მუშაობის შესახებ მინი ლექცია, პრეზენტაცია, მოსწავლეებში „ მეგობრული სისტემის გამოყენება, მისი მნიშვნელობის გააზრება. (ისინი ამ სისტემით, საშინაო დავალებას, გაკვეთილებს, პრეზენტაციებს , პროექტებს ერთდ მომზადებენ. **ნაბიჯი 2.** მოსწავლეთა შეხედულების, აზრის გაზიარება, ჯანსაღი სურვილის გაზიარება, გულახდილი საუბრის მოსმენა, ანალიზი შეფასება. **ნაბიჯი 3.** კუკავშირის გაცემა.

9. განმეორებითი კვლევა.

მიზანი: კვლევის მიგნების, დასკვნების, რეკომენდაციების შემუშავება.

ნაბიჯი 1. I კველვის შედეგების ანალიზი, შეფასება. **ნაბიჯი 2.** II კვლევის შედეგების ანალიზი-შეფასება. **ნაბიჯი 3.** I და II კვლევის შედეგების შდარება - ანალიზი შეფასება. **ნაბიჯი** 4. უკუკავშირის გაცემა.

5.2 ინტერვენციების განხორციელება.

ჩატარებული კვლევის მონაცემთა ანალიზმმა დამანახა რა ნაბიჯები უნდა გადამედგა შემდეგი ეტაპების გასავლელად.

პირველ რიგში კონსულტაციები გავმართე პედაგოგებთან, რათა მათთვის გასაგები ყოფილიყო ის ინსტრუქციები , რაც უნდა განეხორციელებიათ გაკვეთილზე. ინტერვენცია ითვალისწინებდა არა მარტო საგნობრივ თანამშრომლობას, არამედ სხვა ინტერვენციებსაც, რომელთა მეშვეობითაც მოზარდები ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდებოდნენ, ეს იყო ე. წ. „ მეგობრული სისტემა“ (რაც ფართოდაა გავრცელებული დასავლეთის, საგანმანათლებლო სფეროში, ეს სისტემა ხელს უწყობს თანატოლთა პოზიტიურ ურთიერთობებს). ამ სისტემის მეშვეობით მოსწავლეები (გაკვეთილი, საშიანო დავალება, პროექტი, პრეზენტაცია ..) ერთმანეთის დახმარებით მოამზადებენ. ამით ზარმაცი, ნაკლებად აქტიური მოსწავლეები გამოიმუშავებენ ისეთ უნარებს, როგორციაა პასუხისმგებლობა, მოსმენა-კომუნიკაცია, გაგება-გააზრება. ამ სისტემის მიხედვით თანამშრომლობითი სწავლების პერიოდში კლასი ნაწილდება 2-3 მოზარდისაგან შემდგარ ჯგუფებად, რომელბიც ნებისმიერ დავალებას ერთად ასრულებენ, ამასთანავე ყველა პასუხისმგებელია შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, აგრეთვე მოზარდს შეუძლია საშინაო დავალება ვინმესთან(კლასგარეშე ინტერაქცია) ერთად მომაზადოს. აუცილებლად უნდა იკონტაქტონ ერთმანეთთან თუნდაც სატელეფონო კავშირით.

გაკვეთილზე მოსწავლეთა დაჯგუფება მოხდა შემთხვევითობის პრინციპით (საამისოდ გამოვიყენე გამოსაძახებელი ჩხირები, რომლზედაც განთავსებულია იყო მოსწავლეთა სახელები). გაკვეთილზე გამოვიყენე მოსწავლეების მიერ შექმნილი დაცული და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები და მათივე ჩართულობით შევქმენი დაცული და მრავალფეროვანი სასწავლო გარემო(ვცვლიდით მერხების განლაგებას, კედლებზე თვალსაჩინოებების გაწყობას, სასწავლო მეთოდებს) ამ გზით ერთფეროვანი და მოსაწყენი გარემო გავხადეთ მრავალფეროვანი და საინტერესო.

მასწავლებლები ენთუზიაზმით შეუდგნენ ჯგუფური მუშაობის პრინციპებით გაკვეთილის ჩატარებას, წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციების მიხედვით. მასწავლებლის მიერ მაქსიმალურად იქნა გამოყენებული მოსამზადებელი ეტაპი და ჯგუფური მუშაობის ბოლო ეტაპი მასწავლებლის მიერ განსაკუთრებული სიფრთხილით მოხდა დავალებების შერჩევა და მიწოდება მოსწავლეებისათვის ჯგუფრი მუშაობის დროს. ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეში დაგროვილი ცოდნის შემოწმებას ახდენდა დიაგნოსტიკური

ტესტით. ჩავატარე გაკვეთილები,: მოზაიკის“, „ ჯიგსოუს“ „ სასწავლო გაჩერებების“ მეთოდებით. მოსწავლეები მუშაობდნენ ჯგუფებში წინასწარ ერთობლივად შემუშვებული წესებით, რომლებიც კლასში გამოიკრა და მას ყველა მოსწავლე შეძლებისდაგვარად იცვდა: ჩვენ მიერ შემუშავებული ჯგუფური მუშაობის წესები ასე გამოიყურება:

- ჩენ მეგობრები ვართ, ჩხუბი და უთანხმოება მიუღებელია.
- ჯგუფი უსაფრთხო ადგილია სასაუბროდ.
- თუ საუბარი არ გსურს არ ისაუბრო.
- ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის წარმატებაზე.
- ერთმანეთს ვაფასებთ, პატივს ვცემთ, ვუსმენთ და გვისმენენ.
- ჩვენ გვაქვს საკამრისი ცოდნა წარმატების მისაღწევად.
- ჩვენ გონიერი და გაბედული ბავშვები ვართ.

5.3 ინტერვენციების შედეგების ანალიზი შეფასება.

ძირითადი დასკვნები.

პირველი ინტერვენცია - კონსულტაციები პედაგოგებთან.

მასწავლებლებთან კონსულტაციამ, ინტერვიუმ გამოკითხვამ, დისკუსიამ გულახდილმა საუბარმა შედეგი გამოიღო პედაგოგები ნამდვილად გრძნობდნენ ინფორმაციის ნაკლებობას ჯგუფური მუშაობის ეფექტურად ორგანიზების ირგვლივ. პედაგოგთა უკეთ ინფორმირების ხელშესაწყობად პირადად მე გავიარე შესაბამისი ტრენინგი „ ეფექტური ჯგუფური მუშაობები“ მიმოვიხილე შესაბამისი ლიტერატურა და პედაგოგებთან კონსულტაციებით, აზრთა გაზიარებით შევეცადე ამ მიმართულებით მათი ინფორმირების ხარისხის გაზრდას. პედაგოგებმა განსაკუთრებული დაინტერესება გამოიჩინეს ჯგუფური მუშაობის დროს ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების კუთხით, იმ მიზნით, რომ მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფური მუშაობა და ზოგადად სასწავლო პროცესი იყოს საინტერესო, თვალსაჩინო და სახალისო. ტექნოლოგიებთან მიმართებაში რამოდენიმე პედაგოგს აღმოაჩნდა პრობლემები, ისინი ნაკლებად იცნობდნენ ტექნოლოგიებს და მათ არ შეეძლოთ ჯგუფებისათვის შესაბამისი დავალებების შეთავაზება, რაც მოსწავლეებში უკმაყოფილებას იწვევდა, რაც აისახებოდა მათი სწავლის ხარისხზე და აქტივობაზე. აღნიშნულმა პედაგოგებმა გაიარეს ისტ-ის ტრენინგები დაგეგმეს ი.ს.ტ.-ის მასწავლებელთან დამატებითი თანამშრომლობითი გაკვეთილები, რაც შედეგიანი აღმოჩნდა გარკვეულწილად როგორც მათთვის, ისე მოსწავლეებისათვის.

მე-2 ინტერვენცია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიმართულებით განვახორციელე. ინტერვიუდან და გამოკითხვიდან რომელსაც ვახორციელებდი ერთი თვის განმავლობაში პედაგოგებთან, მივიღე ინფორმაცია, რომ პედაგოგები ნაკლებად მიმართავდნენ ჯგუფურ მუშაობას ისინი ამ ფორმას ამჯობინებენ ინდივიდუალური ორგანიზების ფორმას, რადგან თვლიან, რომ ასე

უფრო აღწევენ შედეგს და თანაც ნაკლები ქაოსი და უთანხმოებაა მოსწავლეთა შორის და, რომ მათგან მოდის უარყოფითი დამოკიდებულება ჯგუფებად დაყოფისადმი. მე-9 კლასის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზისას გამოვლინდა, რომ მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებს ჯგუფის არჩევას საკუთარი სურვილით, რადგან მას მოსწონს მუშაობა იმ მოსწავლესთან რომელთანაც მეგობრობს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებდა ჯგუფური მუშაობას და თეორიულად ასაბუთებს, რომ ორგანიზების ასეთი ფორმის გამოყენება ხელს შეუწყობს მათ უკეთ დამეგობრებაში, მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი პარტნიორად ირჩევს კლასის ნებისმიერ მოსწავლეს (ან ვისაც დახმარება სჭირდება) არავინ ირჩევს ყველაზე ძლერ მოსწავლეს, პედაგოგებთან შეთანხმებით მე-9 კლასის ჯგუფებად დაყოფა მოვახდინეთ 3 მიმართულებით (მასწავლებლის მიერ, მოსწავლის სურვილით და შემთხვევითობის პრინციპით) შემთხვევითობის პრინციპის გამოყენების დროს ვისარგებლე გამოსაძახებელი ჩხირებით, რომელზედაც განთავსებული იყო მოსწავლეთა სახელები. ჩავატარე ჯგუფური მუშაობები და მოვახდინე მიღებული შედეგების შედარება, აღმოჩნდა, რომ უფრო ეფექტურია შემთხვევითობის პრინციპის გამოყენება. იგივე ინტერვენცია ითვალისწინებს ეფექტური ჯგუფური მუშაობის წესების შემუშავებას. ჯგუფური მუშაობის წესების ერთობლივად შემუშავებამ ხელი შეუწყო მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას, ჩართულობის ხარისხის გაზრდას და ჯგუფების ეფექტურად მუშაობას, ისინი მთელი მონდომებით და პასუხისმგებლობით ცდილობენ წესების დაცვას, რომ არ შეერცხვინათ თავი პედაგოგის და კლასის წინაშე.

მე-3 ინტერვენცია კვლავ პედაგოგების მუშაობის ეფექტურობის გაზრდას გულისხმობს, რაც შესაბამისად გამოიწვევს ჯგუფური მუშაობის ეფექტურობის გაზრდას, მოტივაციის ამაღლებას და მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობის ხარისხის გაზრდას. შევთანხმდით, რომ პედაგოგები საგაკვეთილო პროცესში ინტენსიურად გამოიყენებენ თანამშრომლობით სწავლების თანამედროვე მეთოდებს და სტრატეგიებს. შედეგმაც არ დააყოვნა თუ რომელიმე მასწავლებელს ჰქონდა პრობლემა ამ კუთხით (ასეთი აღმოჩნდა 4 პედაგოგი) გაიარეს შესაბამისი ტრენინგები ამ მიმართულებით უკეთ მოტივირების მიზნით. პედაგოგებმა ჩაატარეს გაკვეთილები სხვადასხვა საგნში ახალი მიდგომებით. მე ვესწრებოდი გაკვეთილებს და ვახდენდი ფოკუსირებულ დაკვირვებას კლასზე, მოსწავლეზე ან მოსწავლეთა წყვილებზე და ჯგუფებზე მათ მოტივაციზე , ჩართულობის ხარისხზე. ჩანიშვნებს ვაწარმოებდი დაკირვების დღიურში.

მე-4 ინტერვენცია ეხება ჯგუფური მუშაობისათვის აუცილებელი რესურსების შექმნას და გარემოს გამრავლფეროვნებას. ამ კუთხით მოსწავლეებს ჩაუტარე ლექციური საუბარი, ვაჩვენე პრეზენტაციები ,,როგორ მოვიძიოთ რესურსები.“ აგრეთვე მოსწავლეები თვითონ შეეცადენ ერთფეროვანი მონოტორული სასწავლო გარემოს შეცვლას და ვფიქრობ გამოუვიდათ კიდეც; შეცვალეს მერხების განლაგება და კედლებზე თვალსაჩინოებების განთავსება ჯგუფური მუშაობის დავალებების შესაბამისად, აგრეთვე იზრუნვეს რომ გარემო უსაფრთხო ყოფილიყო თითოეული მოსწავლისათვის.

მე-5 ინტერვენცია გულისხმობს კვლავ მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ჯგუფური მუშაობისთვის მომზადებას. ჯგუფური მუშაობა, რომ აღმოჩნდეს ეფექტური აუცილებელია ყველა მოსწავლე

ცოდნით იყოს აღჭურვილი. ამ მიზნით პედაგოგები შევთანხმდით, რომ მოვახდენდით მოსწავლეების ცოდნის დონის ინტენსიურად შემოწმებას სხვადასხვა ტიპის თეორიული და პრაქტიკული დავალებებით ეს მცდელობა ნაყოფიერი აღმოჩნდა, მოსწავლეები თავიდან ნაკლებად, მაგრამ რამდენიმე მეცადინეობის შემდეგ უკვე საგრძნობლად გააქტიურდნენ ცოდნის დონის დაგროვებას ხელი შეუწყო კლასში „ მეგობრული სისტემის“ გამოყენებამ სასწავლო მეთოდების და აქტივობების(,,მოზაიკა’ „ ჯიგსოუ“ ,,სასწავლო გაჩერებები“) დანერგვამ. ამ სისტემამ სუსტი მოსწავლეებიც კი გააქტიურა და დაუგროვა მათ გარკვეული ცოდნის მარაგი.

მე-6 ინტერვენცია გულისხმობს მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლებას, მოსწავლეთა შეფასება და ჯგუფური მუშაობის ბოლოს რეფლექსის დაწერის სწავლებას. ამ მიზნით დამჭირდა მე-9 კლასის მოსწავლეთა ინფორმირება, იმის შესახებ თუ რა დატვირთა აქვს შეფასებას. ჩვენ გულახდილად ვისაუბრეთ, თუ რა ნაკლოვანებები შეიძლება ჰქონდეს განმსაზღვრელ შეფასებას. სწორედ განმსაზღვრელი შეფასება გარკეულწილად ახდენს ჯგუფური მუშაობის ეფექტურობაზე უარყოფით გავლენას. გამოკითხვის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ განმსაზღვრელი შეფასება ძაბავს ბავშვებს, პასიურს ხდის იმიტომ, რომ ბავშვის უარყოფითი პასუხი აისახება ჯგუფის მიერ მოპოვებულ ქულაზე, ამიტომ ის ჩუმად ყოფანს ამჯობინებს და პასიური ხდება პედაგოგებთან შეთანხმებით ბავშვები 2 კვირის განმავლობაში გადავიყვანე განმავითარებელ შეფასებაზე, რაც ეხმარება გაუბედავ მოსწავლეებს მოეხსნათ ემოციური დაძაბულობა. ბავშვები შემდეგ თანდათან მიეჩვევიან პედაგოგის მიერ გაცემულ (გამჭირვალე,ობიექტურ) განმსაზღვრელ შეფასებას, ვცდილობ განმავითარებელი შეფასება გავცე მთელი სიფრთხილით (ჩემ მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასების მაგალითები: „ ყოჩაღ! შესანიშნავად შეძელი შენი აზრის დაცვა, ასევე მომეწონა, რომ ყურადღებით უსმენდი შენს მეგობარს, რომელსაც შენგან განსხვავებული პოზიცია ჰქონდა; „ დღეს შენ ძალიან კარგად ითანამშრომლე თანაგუნდელებთან და შეძელი მათი დახმარება, მომავალში იქნებ პრეზენტაციაც სცადო, ვფიქრობ შენ ეს შსანიშნავად გამოგივა“; „ შენ ძალიან ყურადღებით უსმენდი შენს მეგობარს, საინტერესო იქნებოდა შენი აზრიც, რომ გაგეზიარებია მათთვის“ და სხვა), რამოდენიმე პედაგოგს დასჭირდა თავიანთი პოზიციის შეცვლა მოსწავლებისადმი, მათ გაიზრეს, რომ აუცილებელია მოსწავლეებთან თბილი ურთიერთობა სასურველი შედეგის მისაღწევად. შედეგმაც არ დააყოვნა მოსწავლეები უფრო გაიხსნენ შესაბამის გაკვეთილებზე, გაიზარდა მათი ჩართულობის ხარისხი თანდათან, ისინი უფრო მოტივირებულნი გახდნენ. აგრეთვე შევძელი მოსწავლეებისათვის რეფლექსიის წერა მესწავლებია. ეს პროცესი თავდაპირველად შეუძლებელი აღმოჩნდა თუმცა შემდეგ თანდათან გიაზრეს პროცესი, თუ როგორ უნდა მოხდეს მოსწავლის მიერ ჯგუფური მუშაობის ბოლოს რეფლექსიის დაწერა, რაც შედეგიანი აღმოჩნდა მომდევნო ჯგუფური მუშაობის დასაგეგმად.

მე-7 ინტერვენცია - კვლავ პედაგოგების მიერ უნდა განხორციელდეს, შევთახმდით, რომ ინტენსიურად მოხადენდნენ გაკვეთილებზე ჯგუფური მუშაობის გამოყენებას. გამოიყენებდნენ მრავალფეროვან დავალებებს, სავარჯიშოებს, აქტივობებს მოსწავლეებში ჯგუფური მუშაობისათვის აუცილებელი კონკრეტული უნარების გამოსამუშავებლად. შევეცადე ჯუფური მუშაობის უნარები ლექციებით, საუბრებით ჯერ პედაგოგებში გამეხილა, შემდეგ მოტივირებული პედაგოგი

ნამდვილად შეძლებდა მოსწავლეებში ჯგუფური მუშაობისათვის აუცლებელი უნარების გამომუშავების ხელშეწყობას. აღარ ვიყენებდი სიტყვა ლიდერს, მის ნაცვლად ვამბობდი მოსწავლე, რომელიც გააკეთებს შესრულებული დავალების პრეზენტაციას, ვახდენდი ჯგუფის წევრების გამოსვლების რეგლამენტირებას, იმ მიზნით, რომ თავიდან ამეცილებინა რომელიმე მოსწავლის დომინანტის პოზიციაზე ყოფნა.

მოსწავლეებში გაიზარდა თანამშრომლობითი უნარები, ჯგუფის თითოეული წევრი გრძნობდა პასუხისმგებლობას ჯგუფის წინაშე, თავიდან გაუბედავად, მაგრამ შემდეგ უკვე, როცა მოსწავლეებმა იგრძნეს, რომ თანაგუნდელები მის მიერ მიტანილ სამუშაოს ელოდებოდნენ; მის გარეშ ვერ შეძლებდნენ სამუშაოს წარამატებით შესრულებას, თავი საჭიროდ იგრძნეს, გახდნენ ხალისიანები , თამამები.. მათ აღმოაჩნდათ უკვე სათანადო ცოდნის დონე, ისინი მოდმომებით უხსნიდნენ თანაგუნდელებს საკითხებს, თვითონაც ყურადღებით უსმენდნენ, შევნიშნე, რომ დასვენებაზე აღარ ისხდნენ მარტო, შორიდან აღარ უყურებდნენ თანაგუნდელებს ჯგუფური მუშაობის ბოლოს ბავშვები ავსებდნენ თვითშეფასების კითხვარებს. ეფექტურად ერთვებოდნენ დისკუსიაში. დისკუსიის ერთ-ერთი ფორმაა „ სიტუაციური ამოცანა“ რომელიც ხშირად გამოვიყენე, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობას, ხოლო „ მოზაიკა“, მონაწილეებს ინტერპრეტაციის, თავისუფლებისადმი აზრთა შეცვლის საშუალებას აძლევს. ორივე ფორმა-ეფექტური აღმოჩნდა მოსწავლეებში გუნდურობის გასააზრებლად და მათი ჩართულობის ხარისხის გასაზრდელად

მე-8 ინტერვენცია, გულისხმობდა ეტაპობრივ შეხვედრებს მოზარდებთან, ამ შეხვედრებს ვაწარმოებდი ყველა ფორმით (ინდივიდუალურად, წყვილებთან, ჯგუფებთან, მთელი კლასთან). ბავშვებთან მქონდა გულახდილი საუბარი, მათ მიმართ ვიჩენდი თბილ დამოკიდებულებას, თანაგრძნობას, ვუსმენდი მათ და ვაძლევდი ჯანსაღ უკუკავშირს. შედეგიც მივიღე ბავშვები ჩემთან მაქსიმალურად გაიხსნენ უკვე თამამად გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, შეხედულებებს, შენიშვნებს: რა მოსწონთ? რა გამოუვიდათ? რა შეიძლებოდა უკეთესად გამოსვლოდათ და სხვა. ამ ინტერვენციამ ხელი შეუწყო ჯგუფური მუშაობის ეფექტურობის გაზრდას, მოსწავლეების გათამამებას და თვითდაჯერებულობას.

მე-9 ინტერვენცია - განმეორებითი კვლევა

კვლევის მონაცემთა ანალიზის შემდეგ, განვახორციელე კვლევის კვლევა; როგორც ვიცით ინტერვენცია მოიცავდა როგორც თანამშრომლობით პრინციპებზე მუშაობას ისე, „ მეგობრული“ მეთოდით ურთიერთობასაც. მნიშვნელოვანია, რომ შეხვედრები მეტად საინტერესო რეჟიმში წარიმართა. მოსწავლეები გულღიად საუბრობდნენ იმ პრობლენებზე, რაც მათ კვლევას თან ახლდა. მათთან ერთად ვცდილობდი პრობლემის გადაჭრის გზები თანამშრომლობით გვეძებნა ყოველ ჯერზე შეიმჩნეოდა ერთგგვარი „ გაჯანსაღების“ პროცესი. მოზარდები აღარ გამოხატვადნენ უკმაყოფილებას მასწავლებლის ან თანაკლასელის მიმართ , რაც კვლევის დასწაყისში, მართლაც, რომ თვალში იყო საცემი. ბავშვებმა ნათლად დაინახეს, რომ აუცილებელია ცოდნის დაგროვება. თანამშრომლობით აქტივობებში აქტიური მონაწილეობისათვის, საკუთარი წვლილის შეტანისათვის ჯგუფის წარმატების საქმეში. ბავშვები აცხადებდნენ, რომ ახალი მეთოდების

განოყენებისას მათ კარგად დაინახეს, რომ თურმე ყველა აქტივობის დამოუკიდებლად გაკეთება არ შეუძლიათ და აუცილებდალ სჭირდებათ მეწყვილე/ჯგუფი, რომელიც ხსვა კუთხით არის კომპეტენტური. თანამშრომლობის მთავარ ხელის შემშლელ ფაქტორად მასწავლებლის ზედმეტი აქტივობა, და კონკრეტული შეფასების მეთოდები დასახელდა. ექსპერიმენტის მსვლელობაში კი მასწავლებლები უკვე მაქსიმალურად ცდილობდნენ ალტერნატიული მეთოდებით თითოეული მოსწავლის ჩართვას სწავლის პროცესში. ბავშვები აღიარებენ აგრეთვე, რომ სასწავლო გარემოს სხვა თვალით დაუწყეს ყურება და უფრო გამბედავი და თავდაჯერებულნი გახდნენ ჯგუფური მუშაობებისათვის კლასის წინასწარ მომზადებამ, ჯგუფური მუშაობის ბოლოს ჩატარებულმა დიაგნოსტიკურმა კითხვებმა, აგრეთვე დისკუსის ინტენსიურად გამოყენებამ საგრძნობდალ გაზარდა მათი ცნობიერების დონე და ისინი გააქტიურდნენ, მათ გააცნობიერეს, რომ მათზე ჯგუფის წარმატება იყო დამოკიდებული, თითოეული ბავშვი ცდილობდა ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობის მიიღებას, რათა თანაბრად გაეზიარებინათ ჯგუფის წარმატება.

5.3 მონაცემთა შედარება ინტერვენციებამდე და ინტერვენციების შემდეგ. ძირითადი დასკვნები:





მონაცემთა შედარება ინტერვეციებამდე



ამდენად ინტერვენციების განხორცილებამ მეტ-ნაკლებად დადებითი შედეგი გამოიღო, მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოტივირებული გახდა. ისინი ეხმარებოდნენ ერთმანეთს, იზიარებდნენ ერთმანეთის აზრს, შეიძინეს საუკეთესო ადამინური თვისებები: ერთმანეთის პატივისცემა პასუხისმგებლობა თანამშრომლობა და სხვა. ჯგუფური მუშაობის მოსამზადებელი ეტაპი მასწავლებლების მიერ მაქსიმალურად იქნა გამოყენებული, ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილი მასალის ირგვლივ ჩატარებულმა ზეპირმა შემაჯამებელმა მნიშვნელოვნად გაზარდა მოსწავლეებში ცოდნის მარაგი, ამის გამო ისინი უფრო გაბედულები და თავდაჯერებულები გახდნენ, მათთვის, მყარი ცოდნის საფუძველზე უკვე, დავალებები აღმოჩნდა იოლი, საინტერესო და სახალისო და არა უინტერესო რთული და მოსწაყენი. მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია განსაკუთრებით გაზარდა ჯგუფური მუშაობის ბოლოს ჩემ მიერ წარმოებულმა დიაგნოსტიკურმა ტესტმა. ამ მეთოდის გამოყენებამ გაამართლა, ბავშვები ცდილობდნენ მაქსიმალურად გაეგოთ როგორ ხდებოდა ჯგუფში ამ თუ იმ დავალების შესრულება, იმის მოლოდინით, რომ გაკვეთილის ბოლოს ინდივიდუალურად მოუწევდათ დიაგნოსტიკურ ტესტში შესაბამის კითხვებზე პასუხის გაცემა, საკუთარი შესაძლებლობის დამტკიცება.

მუშაობა მიმდინარეობდა დიფერენცირებულ ჯგუფებშიც, სადაც ყველა ჯგუფს მისი ცოდნის შესაბამისი დავალებები ჰქონდა. სამუშაოებს აქაც გაართვეს თავი ბავშვებმა, თუმცა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს ჩემი მხრიდან დასჭირდა უფრო მეტი დახმარება,

მნიშვნელოვანი იყო ის რომ ყველა მოსწავლე მუშაობდა აქტიურად, იყო კმაყოფილი თავდაჯერებული, გაბედული და მაქსიმალურად ცდილობდა თითოეული მოსწავლე ცოდნის გამოყენებას და ახალი ცოდნის შეძენას.

პედაგოგთა შორის გამოცდილების გაზიარების კუთხით მნიშვნელოვანი იყო დამედგინა , იქონია თუ არა გავლენა პედაგოგის მუშაობაზე მათი პრობლემების კოლეგებთან განხილვამ. მასწავლებელთა თქმით გამოცდილების გაზიარება, გაკვეთილებზე დასწრებამ, მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი მათ დაეხმარა საკუთარი იდეების სტრუქტურირებაში. ამ ინტერვაციის შესაფასებლად განვახორციელე ფოკუსირებული დაკვირვება იმ გაკვეთილებზე, სადაც გამოყენებული იქნებოდა ჯგუფური მუშაობა. (თითოეული მასწავლებლის 2-3 გაკვეთილი) აღმოჩნდა, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული უკუკავშირი ინტერვეციების შემდეგ უფრო ზუსტი და განმავითარებელი იყო ვიდრე კვლევის მონაცემების შეგროვების ეტაპზე. პირადად მე ჩავატარე გაკვეთილები მე-9კლასში ჯგუფური მუშაობის გამოყენებით, მესწრებოდენ კოლეგები,მათგან მივიღე განმავითარებელი უკუკავშირი,რაც დამეხმარა შემდეგი ჯგუფური მუშაობების უკეთ დაგეგმვაში.

5.4 პრაქტიკული კვლევის დასკვნები და მიგნებები:

მინდა მოგახსენოთ, რომ თანამშრომლობითი სწავლების დანერგვა გარკვეულ დროს, მოსწავლეთა მოქნილობას და მასწავლებელთა მზაობას, მოთმინებას, მომზადებას მოითხოვს. ეს ხანგრძლივი კომპლექსური, შრომატევადი პროცესია და არ გულისხმობს მხოლოდ მაგიდის გარშემო ბავშვების დასმას, ამ პროცესში ყველა კლასი და ყველა საგნის მასწავლებელი უნდა იყოს ჩართული. ჩემ მიერ განხორციელებულ კვლევაზე დაყრდნობით შემიძლია ჩამოვაყალიბო დასკვნები და ვფიქრობ ყველასათვის მისაღები რეკომენდაიები:

კარგად ორგანიზებულმა ჯგუფურმა მუშაობამ შეცვალა, მოზარდებს შორის, მოზარდსა და პედაგოგს შორის, პედაგოგებს შორის დამოკიდებულება და უფრო პოზიტიური გახადა იგი. თანამშრომლობითმა სწავლებამ გამოიწვია ცვლილებები მოსწავლეთა თვითშეფასებაში, ისინი უფრო გაბედულნი, პასუხისმგებლობიანნი და თავდაჯერებულნი გახდნენ. ,, მეგობრული სისტემის“ დანერგვამ შედეგი გამოიღო, ბავშვებს შორის თანამშრომლობა გაუმჯობესდა, გაიზარდა. ურთიერთთანამშრომლობამ არაფორმალურ გარემოში უფრო მეტი დადებითი ეფექტი გამოიწვია. გაიზარდა პედაგოგების ცნობიერება, თანამშრომლობა, დაინტერესება ახალი სასწავლო მიდგომებისა და სტრატეგიების, საგაკვეთილო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების კუთხით. მათ უკვე მიზნად დაისახეს მოსწავლეებთან ერთად თანამშრომლობა, მათთვის გზის მაჩვენებლის(ფასილიტატორი) ფუნქცია გაკვეთილზე, უკვე მოვალეობად გაითავისეს. გაიზარდა პედაგოგების დაინტერესება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმის გამოყენების კუთხით, რადგან შეფასების ეს ფორმა უფრო შედეგიანი აღმოჩნდა, ამიტომ გარკვეული დროის მანძილზე მოსწავლეებთან სასურველია განმავითარებელი შეფასების გამოყენება, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა, მოტივაცია და გაკვეთილისადმი მზაობა. ჯგუფური მუშაობიდან ყველამ უნდა მიიღოს სარგებელი, ცოდნის გაგება გააზრების კუთხით, პედაგოგმა ამის

შემოწმება უნდა შეძლოს დიაგნოსტიკური ტესტით ან ზეპირი შემაჯამებლით.ამ მეთოდმა ნამდვილად გაამართლა, ბავშვები სიხარულით ასრულებენ დავალებებს იმ მოლოდინით, რომ ჯგუფური მუშაობის ბოლოს კარგად შეავსებენ ტესტს და იამაყებენ თანაგუნდელებთან საკუთარი ცოდნით მიღებული შედეგით, რაც შესაბამისად ხელს შეუწყობს ჯგუფის წარმატებას. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა შედეგის, ჩართულობის ხარისხის გაზრდას, შედეგად მივიღე არსებულთან შედარებით ეფექტური ჯგუფური მუშაობა. კვლევამ გამოავლინა, რომ განმეორებითი კვლევის შემდეგ მონაცემები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რამაც თავის მხრივ დაადასტურა განხორციელებული ინტერვენციების ეფექტურობა.

5.5 რეკომენდაციები:

1. აუცილებელია, პედაგოგებს შორის თანამშრომლობის, თანადგომის, ინფორმაციის გაცვლის ხარისხის გაზრდა. ეფექტური სასწავლო მენეჯმენტის მართვა(მოისმინოს ტრენინგები, გაეცნოს ლიტერატურას, მოისმინოს ონლაინ გაკვეთილები)
2. სასწავლო გარემო უნდა იყოს ჯგუფური მუშაობის შესაბამისი, უსაფრთხო, მრავალფეროვანი და საინტერესო, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჯგუფებად დაყოფა მოხდეს დიდი სიფრთხილით შემთხვევითობის პრინციპით ან მოსწავლეების სურვილით.
3. ჯგუფურ მუშაობაზე გამოსაყენებელი სასწავლო რესურსი იყოს ყველესათვის ხელმისაწვდომი.
4. პედაგოგის მიერ უნდა მოხდეს ჯგუფური მუშაობის მოსამზადებელი ეტაპის ამომწურავად გამოყენება, მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმება, საჭიროების შემთხვევაში თემების სიღრმისეული დამუშავება მათი ცოდნის დონის ამაღლება.
5. პედაგოგმა დავალების ინსტრუქციები ნათლად უნდა განსაზღვროს, რომ ბავშვს არ ჰქონდეს ბუნდოვანი წარმოდგენა დავალებაზე(დავალება უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეების ცოდნის დონეს და დროს)
6. მასწავლებელმა უნდა შეძლოს ი.ს ტ-ის გამოყენებაზე მორგებული დავალებების რაოდენობის გაზრდა ჯგუფურ მუშაობაში.
7. დავალებები ისე უნდა გადანაწილდეს, რომ შესაძლებელი იყოს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური წვლილის დაფიქსირება და შეფასება, აგრეთვე მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობის რეალიზებას, პიროვნული ხასიათის უმტკივნეულოდ შეთვისებას.
8. უნდა მოხდეს პედაგოგის მიერ დასრულებული სამუშაოს დროულად, ობიექტურად, სიღრმისეულად ინტესიურად შეფასება, ჯანსაღი უკუკავშირის გაცემა.

9. მოსწავლეებში ჯგუფური მუშაობის შემდეგ დაგროვილი ინდივიდულალური ცოდნის შემოწმება დიგნოსტიკური ტესტით ან ზეპირი შემაჯამებელით უნდა აწარმოოს მასწავლებელმა.

8. დროის ლიმიტის ეფექტური მართვა და ჯგუფური მუშაობის წესების კონტროლი უნდა აწარმოოს პედაგოგმა სამუშაოს დასრულეამდე.

9. პედაგოგის მიერ უნდა ხდებოდეს განმავითარებელი შეფასების დიდი სიფრთხილით და ინტენსიურად გაცემა.

10. სასურველია თანმაედროვე თანამშრომლობითი სასწავლო მეთოდების და სტრატეგიების გამოყენება გაკვეთილზე, მოსწავლეთა არა დათრგუნვა არამედ გათამამება, გააქტიურება, ჩართულობის ხარისხის გაზრდა.

გვახსოვდეს, რომ უნდა შევძლოთ 21-ე საუკუნისათვის საჭირო უნარ-ჩვევები გამოვუმუშაოთ ბავშვებს რათა გახდნენ კონკურენტურანიანები მსოფლიო გამოწვევების წინაშე.

5.6 პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა.

მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის მიხედვით კვლევა არის, მასწავლებელში პრაქტიკული კვლევის კომპეტენციების უნარის ფლობა.

კვლევა, არის ახალი ცოდნის ძიება, ეს არის პროფესიული სიტუაციების სისტემატიური კვლევა ჩატარებული მასწავლებლებთა მიერ საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის, სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით. პროფესიონალია მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების ინდეტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება, ახალი იდეების სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა.

პრაქტიკული კვლევა გულისხმობს თანამშრომლობით, კოლექტიურ მიდგომებს მკვლევარისა და არასპეციალისტების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელებულ ქმედებას. პრაქტიკის კვლევაში ჩართული პიროვნებები ერთგუნდად ერთიანდებიან, ერთმანეთს მოსაზრებებს უზიარებენ, იღებენ გადაწყვეტილებებს და სასურველ შედეგსაც აღწევენ.

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევა და კვლევის შედეგების გაზიარება დაეხმარება კოლეგებს თვითონ წარმართონ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესების მიზანით. კვლევა, ადმინისტრაციას საშუალებას მისცემს კვლევის შედეგების გაცნობით დააკვირდნენ მოსწავლეთა სწავლა-სწავლების პროცესს.

5.7 კვლევის ნაკლოვანებები. (თვითკრიტიკა)

კვლევის ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს, ის რომ მოსწავლეთა ნაწილი აცდენდა სხვადასხვა საპატიო თუ არასაპატიო მიზეზის გამო და ვერ იღებდა ინტერვენციების დრის განხორციელებულ აქტივობებში მონაწილეობას, მაგრამ ვთვლი, რომ არსებითი ცვლილება არ მოხდებოდა, სავარაუდოდ მოხდებოდა მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილება. ხელი შემიშალა აგრეთვე იმ ფაქტორმა, რომ სკოლის სასწავლო რეჟიმი შემოიფარგლება მე-2 ცვლაში სწავლებით(სკოლაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო) ეს ფაქტი კვლევის მსვლელობის მანძილზე მიქმნიდა სხვადასხვა სახის ხარვეზებს(ზამთრის პერიოდი, პედაგოგებთან შეხვედრისას დროის ნაკლებობა და ა.შ)

კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ მიუხედავად კვლევის ანონიმურობისა ზოგი მასწავლებელი შეეცადა პირველი კვლევისას გაეკონტროლებინა შევსებული კითხვები, ამასთანავე პედაგოგთა ნაწილმა უარი განაცხადა ინტერვიუზე, მათი განმარტებით ეს გამოწვეული იყო დროის უქონლობით.

მიღებული შედეგების ანალიზზე დაყრდნობით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კვლევა ჩავატარე ერთ კლასში, სასურველი იქნებოდა კვლევა ჩამეტარებინა სხვა კლასებშიც, რათა უფრო ნათლად გამოვლენილიყო თანამშრომლობითი სწავლების თავისებურებანი შედარების საფუძველზე. აგრეთვე მინდა აღვნიშნო, რომ მოსწავლეთა ნაწილმა ღია კითხვებში საკუთარი აზრის დაფიქსირებას თავი აარიდა, არ იცოდა რა ჩაეწერა, ეს საკითხი შეიძლება ცალკე კვლევის საგნად მივიჩნიო და ჩავატარო კვლევა ამ მიმართულებით მოსწავლეებში, ამდენად ერთი პრაქტიკული კვლევის განხორციელებამ მიმიყვანა ახალ იდეასთან, რომლის განხორციელებაც ასევე აუცილებლობას წარმოადგენს სასწავლო პროცესისათვის.

თავი VI.

6.1 ბიბლიოგრაფია.

1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი.

2. ლევ ვიგოტსკი „ აზროვნება და მეტყველება „(1934წელი)

3. განვითარებისა და სწავლების თეორიები მასწავლებელთა პროფესიული განითარების ცენტრი (2010წელი)

4. ეროვნული სასწავლო გეგმა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინსტრო(2009წელი)

5. „სწავლება და შეფასება“ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი(2010წელი)

6. „ჩვენ ყველაფრის სწავლა შეგვიძლია“ https: // www.youtube. Com/ wdtch?v=tnulzioyths

7. www. mastavlebeli.ge (ინტერნეტგაზეთი 29 08. 2014 მანანა ბოჭორიშვილი)

8. ,, მოსწავლეთა ოგრანიზაციური საქმიანობის ფსიქოლოგია“ (1980 წელი, უმანსკი)

9. ჯგუფური მუშაობის და კომუნიკაციის განვითარების სავარჯიშოები www. mastavlebeli.ge

10. სასწავლო მასალები და ტექნოლოგიები www. mastavlebeli.ge

11. https://edu.aris.ge/ news/ ratom-aris- mniShvnelovani- gunduri-mushaoba- moswavleTa-ganviTarebisaTvis. Htm/maswavlebeli.ge

12. ჯონსონი და ჯონსონი (1998 წელი),, თანამშრომლობითი სწავლება“

13. კოჰენი (1997 წელი) ,,ეფექტური სწავლება“

14. სასწავლო მასალები და ტექნოლოგიები; www. International Socient for bebi.ge Technology in Edukation.

თავი Vll. დანართები:

დანართი N1.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დღიური (დოკუმენტირება)

აღწერეთი დაკვირვების მეთოდის განხორციელების დროს გამოყენებული მოსწავლეთა ჩართულობის შეფასების რუბრიკა.

უმაღლესი ქულა- 5; დაბალი - 1

მაქსიმალური- 20; მინიმალური ბარიერი- 12

კრიტერიუმი	1	2	3	4	5
მონაწილეობა	არ მონაწილეობს საგაკვეთილო აქტივობებში	იშვიათად მონაწილეობს საგაკვეთილო აქტივობებში	ხანდახან მონაწილეობს საგაკვეთილო აქტივობებში	უმეტესად მონაწილეობს საგაკვეთილო აქტივობებში	ყოველთვის მინაწილეობს აქტივობებში
თანამშრომლობა	არ თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან	იშვიათად თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან	ხანდახან თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან	უმეტესად თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან	ყოველთვის თანამშრომლობს ჯგუფის წევრებთან
მიმღეობა	არ იღებს სიახლეებს	უჭირს მიღება სიახლეების	ნაწილობრივ იღებს და იზიარებს სიახლეებს	უმეტესად იღებს სიახლეებს	ყოველთვის იღებს სიახლეებს ხშირ შემთხვევაში გვევლინება ინიციატორის როლში
უკუკავშირი	არ აწარმოებს უკუკავშირს	თითოეული უკუკავშირი ეპიზოდურია მწირია არ ეყრდნობა არგუმენტებს	ხანდახან აკეთებს უკუკავშირს უკუკავშირი არ ხასიათდება კონსტრუქციულობით.	უმეტესად იძლევა უკუკავშირს, უკუკავშირი შეიცავს კინსტრუქციულობის ელემენტებს	ყოველთვის მზად არის კინსტრუქციული უკუკავშირის მისაღებად რაც ეყრდნობა

					მყარ არგუმენტებს

დანართი N2

აღწერითი დაკვირვების შედეგები:

N რიგზე	მოსწავლე	შეფასების კრიტერიუმები				
		მონაწილოეობა	თანამშრომლობა	მიმღეობა	უკუკავშირი	ჯამური ქულა
1	აბჟანდაძე მარიამი	4	3	2	3	12
2	ბოჭორიშვილი ლუკა	4	5	5	4	18
3	ბუსკივაძე მარიამი	4	4	5	4	17
4	დევიძე შოთიკო	3	3	3	3	12
5	კვატაია საბა	2	3	2	3	10
6	კვატაია სალომე	3	3	2	3	11
7	კირკიტაძე ერეკლე	3	3	2	3	11
8	მაგრაქველიძე გიგა	2	2	2	3	9
9	მაჭარაშვილი ლუკა	2	2	2	3	9
10	მემანიშვილი ვაჟა	4	4	5	4	17
11	ნიკოლაძე ეკატერინე	4	4	5	4	17
12	ობოლაძე ანანო	4	4	5	4	17
13	ობოლაძე ზაური	3	3	3	3	12
14	რობაქიძე გიორგი	2	3	2	3	10
15	სულამანიძე ნიკა	3	2	3	3	11
16	ქოჩიაშვილი გიგა	3	2	3	3	11
17	ძოწენიძე დიმიტრი	2	2	2	3	9
18	ძოწენიძე ვასო	5	5	5	4	19
19	ჭაბუკიანი ქრისტინე	4	4	4	4	16
20	ჯანგიანი მარიამი	4	4	4	4	16

21	ჯუღელი გიორგი	5	5	5	4	19
22	წაქაძე მარიამი	4	5	4	4	17

დანართი N3

დისკუსიის შეფასების რუბრიკა:

კრიტერიუმები	1	2	3
მოსმენა	იშვიათად უსმენს	ხშირად უსმენს	ყოველთვის უსმენს
არავერბალური კომუნიკაციები	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია აღიქვას და გამოიყენოს არა ვერბალური ფორმა(თვლით, ჟესტიკური გამომეტყველებით, ხმით)
მონაწილეობა	მცირე ინტერესი აქვს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემებს.	ძირითადათ გამოხატავს ინტერესს კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო	აჩვენებს ინტერესს თემისადმი საჭირო კომენტარებით და აზრთა გამოთქმით
თანამშრომლობა	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს.	ძირითადათ თანამშრომლობს იცავს დისკუსიის წესებს.	თანამშრომლობს ყოველთვის კლასელებთან აცდის სხვებს აზრის გამოთქმას იცავს წესებს.
საუბარი	მეტყველება არასაკმარისია, მსმენელს უჭირს გაგება	მეტყველება ძირთადათ გასაგებია უყურებს მსმენელებს	მკაფიოდ მეტყველებს უყურებს მსმენელებს.
მოსაზრების არგუმენტაცია	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირებს არ არის არგუმენტებით გამყარებული	მოსაზრებების გასამყარებლად იყენებს სადაო ფაქტებს და მცნებეს.	მოსაზრებები ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით მცნებებით და ლოგიკური კავშირებით

დანართი N4

ფოკუსირებული დაკვირვების შეფასების რუბრიკა:

კრიტერიუმები	1	2	3	4
მოსმენა	იშვიათად უსმენს თანაგუნდელებს	ხანდახან უსმენს ნაკლებ ყურადღებიანია	ხშირად უსმენს ყურადღებით	ყოველთვის უსმენს ყურადღებით
აზრის გამოხატვა	იშვიათად აფიქსირებს საკუთარ აზრს	ხანდახან აფიქსირებს საკუთარ აზრს	ხშირად აფიქსირებს საკუთარ აზრს	ყოველთვის აფიქსირებს საკუთარ აზრს
თვითდაჯერებულობა	არ არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში	ნაკლებად არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში	დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში თუმცა ვერ ახერხებს ჯგუფის დახმარებას	დარწმუნებულია საკუთარ შესაძლებლობებში შეუძლია ჯგუფის დახმარება
პასუხისმგებლობა	არ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე	ხანდახან იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე	ხშირად იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე	ყოველთვის შეუძლია პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე
ურთიერთპატივისცემა	ნაკლებად გამოხატავს პატივისცემას თანაგუნდელებთან და განსხვავებული აზრის მიმართ.	ხანდახან გამოხატავს პატივისცემას თანაგუნდელებთან და განსხვავებული აზრის მიმართ.	ხშირად გამოხატავს პატივისცემას თანაგუნდელებთან და განსხვავებული აზრის მიმართ.	ყოველთვის გამოხატავს პატივისცემას თანაგუნდელებთან და განსხვავებული აზრის მიმართ.

დანართი N5

დაკვირვების დღიურის ნიმუში:

მოსწავლის სახელი გვარი	თარიღი	ორგანიზებულობა კლასებთან ურთიერთობაში	ჯგუფური მუშაობა	შენიშვნა
X მოსწავლე	1.11.2018 წ.	არ თანამშრომლობს კლასელებთან	გაუჭირდა გაუბედვია	გამოვიყენე სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი
	16.11.2018წ.	ცდილობს ურთიერთობას თუმცა მარტო მუშაობს სურვილი დაკარგა	დააფიქსირა საკუთარი აზრი დაძაბულია	გამოვიყენე სიტყვიერი განმავითარებელი კომენტარი.
	5.12.2018წ.	ცდილობს ურთიერთობებს თუმცა არ იჩენს ინიციატივას	ცდილობს იყოს დამაჯერებელი	ჯგუფის შეფასებისას ავღნიშნე მისი აქტიურობა.
	16.12.2018წ.	თანამშრომლობს კლასელებთან, მაგრამ ფრთხილობს შეცდომა არ დაუშვას.	დაძაბულია თუმცა არ უნდა პასიური მსმენელი იყოს	ავუხსენი მოსწავლეებს, რომ შეცდომას ყველა უშვებს,მივმართე თბილად, გავამხნევე, და გამოვიყენე განმავთარებელი შეფასება.
	23. 01. 2019	თამამად და თავისუფლად თამაშობს	გამოხატავს საკუთარ აზრს.	გამოვიყენე პოზიტიური განმავითარებელი შეფასება.
	2.02.2019წ.	იჩენს ინიციატივას თავდაჯერებულია.	შეუძლია მოისმინოს და დააფიქსიროს განსხვავებული აზრი.	გამოვიყენეპოზიტიური განმავითარებელი შეფასება.
	20.02.2019წ.	თანამშრომლობს კლასთან აქტიურია.	ყურადღებით უსმენს, საუბრობს,	გამოვხატავ პატივისცემას, ვაკეთებ პოზიტიურ

			გამოხატავს საკუთარ აზრს.	განმავითარებელ შეფასებას.

დანართი N6

დიაგნოსტიკური ტესტის შედეგები (კვლევის დასაწყისში)

10-9	8-7	6-5	4-3	2-1
2 მოსწავლე	2 მოსწავლე	2 მოსწავლე	12 მოსწავლე	4 მოსწავლე

დიაგნოსტიკური ტესტის შედეგები (კვლევის ბოლოს)

10-9	8-7	6-5	4-3	2-1
5 მოსწავლე	12 მოსწავლე	5 მოსწავლე	X	X

დანართი N7

გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეთა თვითშეფასების სქემა.

რა იყო გაკვეთილზე შენთვის ყველაზე საინტერესო?	
რა ისწავლე ამ გაკვეთილზე?	
რა გააკეთე ამ გაკვეთილზე?	
ვისთან ერთად იმუშავე?	
რა გააკეთე კარგად? რა იყო შენი წარმატების მიზეზი?	
რა ვერ გააკეთე კარგად? რა იყო შენი წარუმატებლობის მიზეზი?	
რა გინდა შემდეგში უკეთ გააკეთო?	

დანართი N8

მოსწავლის კითხვარი:

მოგესალმებით, ძვირფასო რესპოდენტო მინდა გაცნობთ, თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის მე-9 კლასში ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე: „ჯგუფური მუშაობის ეფექტურობის გაზრდა მე-9 კლასში“ თქვენი როგორც, ამ კლასის მოსწავლის მონაწილეობა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია , თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, გთხოვთ ამომწურავად უპასუხოთ კითხვებს რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას ბიოლოგიის მასწავლებელი მზია მაკარიძე.

1.კლასში მუშაობის რომელ ფორმას ანიჭებთ უპირატესობას? რატომ?

ა) ინდივიდუალური ბ) წყვილებში გ) ჯგუფებში

რატომ? ----------

2. მოგწონთ თუ არა ჯგუფური მუშაობა?

ა) მომწობს ბ) არ მომწონს

3. როგორ მონაწილეობთ ჯგუფურ მუშაობაში?

ა) ხალისით ბ) უხალისოდ გ) არ მაქვს რეაქცია.

4. ხართ თუ არა პედაგოგის მიერ წინასწარ ინფორმირებული ჯგუფური მუშაობის შესახებ.

ა) ყოველთვის ბ) იშვიათად გ) არასოდეს

5. გეხმარებათ თუ არა პედაგოგი ჯგუფური მუშაობის მოსამზადებელ ეტაპზე თემის სიღრმისეულად დამუშავებაში?

ა) ყოველთვის ბ) იშვიათად გ) არასოდეს.

6. ჯგუფურ მუშაობაში ჩემი ჩართულობის ხარისხს გაზრდის.

ა) პედაგოგის მიერ ერთი და იგივე დავალების რამოდენიმეჯერ ახსნა.

ბ) დავალებების შესასრულებლად ტექნოლოგიების გამოყენება. გ) დისკუსიები.

7. ჯგუფებში მუშაობის დროს თავს ვგრძნობ კომფორტულად როდესაც:

ა) ჩემი სურვილით ვირჩევ ჯგუფს ბ) მასწავლებლის მიერ ხდება ჯგუფის შერჩევა ჩემთვის.

8. ჯგუფში მუშაობის დროს:

ა) ვასრულებ ლიდერის როლს ბ) ვაკეთებ პრეზენტაციას გ) ვეხმარები დავალების შესრულებაში
დ) არაფერს არ ვაკეთებ.

9. ჯგუფში მუშაობის დროს ვისთან ისურვებდით თანამშრომლობას?

ა) ვინც ყველაზე ძლიერია
ბ) ვისაც დახმარება სჭირდება
გ) ვისი იმედიც მექნება
დ) ნებისმიერ მოსწავლესთან

10. გეხმარებათ თუ არა ჯგუფური მუშაობები თემის უკეთ ათვისებაში?

ა) მეხმარება ადვილად ვსწავლობ ბ) მირჩევნია დამოუკიდებლად სწავლა გ) არ აქვს მნიშვნელობა

11. იცნობთ თუ არა ჯგუფური მუშაობის წესებს და შეფასების რუბრიკებს.

ა) დიახ ბ) მეტ-ნაკლებად გ) არა

12. იყენებს თუ არა პედაგოგი ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკებს?

ა) ყოველთვის ბ) იშვიათად გ) არასოდეს

13. შეფასების დროს არის თუ არა პედაგოგი თქვნს მიმართ ობიექტური?

ა) დიახ ბ) ნაწილობრივ გ) არა

14. ჯგუფური მუშაობის დროს იყენებს თუ არა პედაგოგი თქვენი ინდივიდუალური ცოდნის შესამოწმებლად დიაგნიოსტიკურ ტესტებს?

ა) ყოველთვის ბ) იშვიათად გ) არასოდეს.

15.მოგწონთ თუ არა „ მეგობრული სისტემით“ გაკვეთილების /დავალებების მომზადება.?

ა) მომწონს ბ) არ მომწონს

16. მოგწონთ თუ არა დავალებები რომელიც ჯგუფური მუშაობის დროს გამოიყენება?

ა) მისაღბია ბ) უკეთესი შეიძლება გ) არ მომწონს.

დანართი N9

პედაგოგის კითხვარი:

მოგესალმებით, ძვირფასო რესპოდენტო მინდა გაცნობოთ, თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის მე-9 კლასში ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას თემაზე: „ჯგუფური მუშაობის ეფექტურობის გაზრდა მე-9 კლასში“, თქვენი როგორც, ამ კლასის საგნის მასწავლებლის მონაწილეობა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია, გთხოვთ ამომწურავად უპასუხოთ კითხვებს რისთვისაც წინასწარ გიხდით მადლობას ბიოლოგიის მასწავლებელი მზია მაკარიძე.

1.კლასის ორგანიზებვის რომელ ფორმას ანიჭებთ უპირატესობას გაკვეთილის დაგეგმვისას?

ა) ინდივიდუალურს ბ) წყვილებში გ) ჯგუფურს

2. იყენებთ თუ არა გაკვეთილზე ჯგუფურ მუშაობას?

ა) ყოველთვის ბ) იშვიათად გ) არასოდეს.

3. წარმოადგენს თუ არა თქვენთვის სირთულეს ჯგუფურ მუშაობის ორგანიზება?

ა) დიახ ბ)არა

4. თქვენი აზრით რა უნარების განვითარებას უწეყობს ან უშლის ხელს მოსწავლეებში ჯგუფური მუშაობა?

---

6. არის თუ არა კლასი თქვენს მიერ ინფორმირებული წინასწარ ჯგუფური მუშაობის შესახებ.

ა) ყოველთვის ბ) იშვიათად გ) არასოდეს.

7. აქცევთ თუ არა ყურადღბას ჯგუფური მუშაობის მოსამზადებელ ეტაპს?

ა) დიახ ბ) ნაკლებად გ) არასოდეს.

8. არის თუ არა ჯგუფებისათვის მიცემული დავალებები ზომიერი?

ა) ზომაზე ნაკლებია ბ) ზომიერია გ) ზომაზე მეტია

9. თქვენი აზრით, როგორია კლასის ჩართულობის ხარისხი ჯგუფურ მუშაობებში?

ა) ყოველთვის ხალისით ერთებიან ბ) უხალისოდ ერთვებიან გ) იშვიათად ერთვებიან ხალისით დ) საერთოდ არ ერთვებიან.

10. ახდენთ თუ არა ჯგუფური მუშაობის შეფასებას?

ა) ყოველთვის ბ) იშვიათად გ) არასოდეს.

11. ხართ თუ არა ობიექტური შეფასების დროს?

ა) დიახ ბ) არა

12. აძლევთ თუ არა ბავშვებს სამუშაოს დასრულების შემდეგ უკუკავშირს?

ა) ყოველთვის ბ) იშვიათად გ) არასოდეს.

13. იყენებთ თუ არა ჯგუფური მუშაობის დასრულების შემდეგ დიაგნისტიკურ ტეტსებს მოსწავლის ინდივიდულური ცოდნის შესამოწმებლად?

ა) ყოველთვის ბ) იშვიათად გ) არასოდეს.

14. ხართ თუ არა მიღწეული შდეგებით კამყოფილი და რას შეცვლიდით?

დანართი 10.

კითხვები ფოკუს-ჯგუფისათვის:

1. გქონიათ თუ არა ერთობლივი ღონისძიება?
   ა. დიახ ბ. არა
2. ხომ არ გქონიათ რაიმე სახის უთანხმოება?

ა. დიახ ბ. არა

3. გყავთ თუ არა მეგობრები მე-9 კლასში?
   ა.დიახ ბ. არა
4. გაქვთ თუ არა სურვილი მათთან ერთად განახორციელოთ რაიმე სახის ღონისძიება? რატომ?
   ა. დიახ---------- ბ. არა----------
   რატომ?----------

დანართი 11.

კითხვები ინტერვიუსათვის მე-9 კლასის დამრიგებელთან:

1. იცნობთ თუ არა თქვენი სადამრიგებლო კლასის სოციალურ პირობებს?
   ა. დიახ ბ. არა
2. გყავთ თუ არა მოსწავლე სხვადასხვა სოციალური სფეროდან?
   ა. სსსმ ბ. სოციალურად დაუცველი ოჯახიდან
   გ. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი
3. როგორი დამოკიდებულება არის თქვენი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებს შორის?
   ა. მეგობრული ბ. არამეგობრული
4. ხომ არ აქვს ხოლმე ადგილი კონფლიქტურ სიტუაციებს?
   ა. დიახ, რატომ? ----------
   ბ. არა
5. როგორი ატმოსფეროა თქვენ სადამრიგებლო კლასში?
   ა. დაყოფილი არიან ჯგუფებად ბ. გამთლიანებული კლასია
6. რა არის თქვენი კლასის საათების თემატიკა? რა საკითხებზე გიწევთ ძირითადად თემების შერჩევა? რატომ?----------

დანართი12.

ღია კითხვებიანი დიაგნოსტიკური ტესტის შეფასების რუბრიკა.

ვამოწმებ მოსწავლის ცოდნის, გაგების, გამოყენების ანალიზისა და სინთეზის შეფასების დონეებს, მოსწავლეებში ინდივიდუალური აზროვნების უნარებს.

2ქულა	1ქულა	0,5 ქულა
*კითხვით ვამოწმებ მოსწავლის მაღალ სააზროვნო უნარებს * საკითხი შეიცავს 2 კითხვას	* ვამოწმებ მოსწავლის ცოდნის გაგების დონეს * საკითხი არის 2 ქულიანი და მხოლოდ ერთ კითხვაზეა პასუხი გაცემული.	* კითხვა მოითხოვს მხოლოდ ცოდნას * 1 ქულიან კითხვაზე პასუხი ნაწილობრივ არის გაცემული.

კვლევის რეფლექსია:

2018-2019 სასწავლო წლის მანძილზე სექტემბრის თვიდან მაისის თვის ჩათვლით განვახორციელე სსიპ თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის, მე-9 კლასში (საბაზო საფეხური) პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომელიც ეხებოდა მე-9კლასში ჯგუფური მუშაობის ნაკლებეფექტურობის პრობლემას და მისი გადაჭრის გზებს, აღნიშნულმა პრობლემამ განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი მე-9 კლასში და შესაბამისად ჩემი სამიზნე ჯგუფი მე-9 კლასი აღმოჩნდა. ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, მე-9კლასში სასწავლო თემების მნიშვნელოვანი ნაწილის დასწავლა ხდება

ჯგუფური მუშაობების ინტენსიური გამოყენებით გაკვეთილებზე. გუნდური, ერთობლივი ძალისხმევით შედარებით რთული თემების ათვისება ხდება მარტივად და საინტერესოდ. პრობლემის აღმოსაფხვრელად: დავისახე კვლევის მიზანი, ჩამოვწერე აღნიშნული პრობლემის გამომწვევი სავარაუდო არა ერთი მიზეზი, დავგეგმე ინტერვენციები და ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყე პრობლემასთან ბრძოლა. ვფიქრობ ჩემ მიერ დასახული ინტერვენციები და მასთან დაკავშირებული აქტივობები შედეგიანი აღმოჩნდა, რადგან დავინახე, რომ მან ერთგვაროვანი სარგებელი მოუტანა, როგორც მოსწავლეებს ისე მასწავლებლებს, სკოლას და რა თქმა უნდა პირადად მე, რაც აისახა კიდეც ჩემ პედეგოგიურ პრაქტიკაში: გავძლიერდი და გავიზარდე, როგორც ინფორმაციული მარაგით ისე გაკვეთილებზე ახალი სასწავლო სტრატეგიების გამოყენების კუთხით, მოსწავლეებში მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით შევძელი მათი ურთიერთობების მოწესრიგება და ჩართულობის ხარისხის გაზრდა გუნდური მუშაობების დროს. კვლევის შედეგები გავუზიარე კოლეგებს სამუშაო შეხვედრებზე, მოვახდინე კათედრებზე კვლევის პრეზენტაცია. მატერიალური სახით ჩამოყალიბებული რეკომენდაციები დავურიგე მათ და ვთხოვე გამოეყენებინათ ისინი თავიანთ საგაკვეთილო პროცესზე და მოეხდინათ შედეგებზე დაკვირვება.

კოლეგებისაგან მივიღე სიტყვიერი უკუკავშირი, სადაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათ გაითვალისწინეს რეკომენდაციები და გამოიყენეს გაკვეთილებზე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია ჩართულობა, სწავლის ხარისხი. გაუმჯობესდა მოსწავლეთა შედეგები, შემცირდა კონფლიქტური სიტუაციები,მოსწავლეებმა შეიძინეს საუკეთესო ადამიანური თვისებები: მოსმენის, სხვისი აზრის პატივისცემის, პასუხისმგებლობის უნარები, გახდნენ უფრო თავდაჯერებულნი, გამბედავნი და ცოდნით აღჭურვილნი. გამომდინარე აქედან, საგაკვეთილო პროცესი უფრო ეფექტური გახდა, პედაგოგები კმაყოფილებას გამოთქვამდნენ და ამბობდნენ, რომ მომავალშიც აქტიურად იხელმძღვანელებენ ამ რეკომანდაციებით.